სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 6 აგვისტო 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფულები [illegible] უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 165 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 165

გულდამწვარი მეუღლე ნინო, შვილი ვასილი, რძალი თამარი, სიძეები იოსებ ჯერანაშვილი მეუღლითურთ, ვასილი კუდუხაშვილი მეუღლითურთ, მაქსიმე ჭეიშვილი მეუღლითურთ, სიდედრი ანნა მამაცაშვილი, ცოლის დაი მარიამი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უეცრათ გარდაიცვალა

ივანე გაბრიელის ძე ამირანაშვილი

გამოსვენება მოხდება 6 მარიამობისთვეს ჩერქეზიშვილის ქ., № 145. წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში (ნაძალადევი), მხოლოდ დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს ეკლ. გალავანში. (1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე მარიამი თევდორეს ასული, დედა თებრონე და მამა სვიმონი ქლიბაძეები, ქვისლი სოლომონ და ცოლის დაი ნინა ქორიძეები, ქვისლი დავითი და ცოლის დაი ბარბარე მუჩაიძეები, ცოლის დაი მართა ჯაბადარი და გულითადი ამხანაგი მელიტონ ფერაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 6 აგვისტოს (ახ. სტ.), დილის 10 საათზე დანიშნულია წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი

კოლია (კონსტანტინე) სვიმონის ძე ქლიბაძის

სულის მოსახსენებლათ კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე (1—1)

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე მელიტონ დავითის ძე არველაძე, უდროვოთ დაობლებული შვილები მიშა, ლიუცია და დავით მელიტონის ძე არველაძეები, დედამთილი ბარბარე შენგელიას ასული არველაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგთ, რომ ამ თვის 10-ში (ახალი სტილით) გადახდილი იქნება ორმოცი დღის შესრულების წირვა და პანაშვიდი

ოლია არველაძის

სულის მოსახსენებლათ. სოფ. ქვანში მთავარანგელოზის ეკლესიაში (2—1)

## მილიციის მოვალეობა

თვითმპყრობელობის დროს განსაკუთრებული განწყობილება დამყარდა წესიერების დამცველთა და მცხოვრებლებს შორის. პოლიციას ექვემდებარებოდა ჩვენი ცხოვრების ყოველივე დარგი, არ იყო არც ერთი ისეთი თავისუფალი კუნჭული, რომელშიაც პოლიციის ფხიზელი თვალი არ შეჭრილიყო. და ამიტომ არც გასაკვირია ხალხში ერთგვარ ანარქისტულ მიდრეკილების გაძლიერება. პოლიტიკურ რწმენისა და მოქმედებისათვის დევნამ ისე გააბოროტა მოქალაქე, რომ ის პოლიციის ყოველგვარ მოქმედებას უარყოფით და ზიზღით უცქეროდა. იმ დროს, როცა ინგლისში, შვეიცარიაში და სხვა განათლებულ ქვეყნებში მცხოვრებლები თვით იღებენ მონაწილეობას ბოროტ-მოქმედების აღმოჩენაში, ჩვენში პოლიციას პირიქით ხელს უშლიდენ.

ასეთმა სულიერმა განწყობილებამ ფართეთ ჰპოვა გამოსავალი რევოლიუციის შემდეგ. და ეს განწყობილება იმდენათ ძლიერი იყო, რომ რევოლიუციონურ ორგანიზაციებზე და მათ მიერ შექმნილ მილიციაზე ღრმა გავლენა მოახდინა.

ჩვენ დავიწყეთ ინგლისის წესების გადმონერგვა, მაგრამ უხეშ მოპყრობას შეჩვეულმა ზოგმა ჯგუფებმა თავისებურათ გაიგეს მართვა-გამგეობის ახალი წესი დ თავისუფლება დემოკრატიის ზურგზე საპარპაშოთ გამოიყენეს. ამ გარემოებამ აიძულა ჩვენი მთავრობა და პარლამენტი მიეღო მთელი რიგი განსაკუთრებულ ზომებისა ჯარიმა—დატუსაღებიდან დაწყებული სიკვდილით დასჯამდე.

მაგრამ კარგს კანონს და განკარგულებას კარგი ამსრულებელი უნდა. ასეთი კი საუბედუროთ დღემდის ჩვენ ნაკლებათ გვყავდა და ამიტომ ანარქია სპეკულიაცია უმაღლეს წერტილამდე ავიდა, განსაკუთრებით კი საქართველოს დედა ქალაქ თფილისში.

თფილისში თავმოყრილია საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთა თითქმის მეოთხედი ნაწილი. თფილისი ყოფილი ცენტრია მთელი კავკასიის; აქ მოკალათებულია მთელი კუთხის ჩინოვნიკობა, რომელიც უკმაყოფილოა საქართველოში მომხდარ ცვლილებით და არაფერს არ ზოგავს ჩვენი ქვეყნის ამოსაგდებათ.

თფილისი გახდა აგრეთვე ლტოლვილთა თავშესაფარი. ნაწილი ამ გადმოხვეწილებისა დაშნაკცუთიუნის პარტიის თავგონებით და ხელმძღვანელობით რუს მოხელეებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედობს, ნაწილი კი ალვირ ახსნილ სპეკულიაციას ეწევა. ჩარჩების სპეკულიაციამ კი დასცა და გაათახსირა ვაჭრობა, რომელსაც, რაც უნდა იყოს, ერთგვარი ვაჭრული ეთიკა და თავმოყვარეობა მაინც აქვს.

სპეკულიაციამ ხელი შეუწყო აგრეთვე საშინელ უსუფთაობის შექმნას: პური, ხილი, ნახშირი, პირუტყვი და მისი განავალი ერთად არის არეული და მოქალაქეს სწამლავს. და ეს მაშინ, როცა საშინელი სენი—ხოლერა მოსდგომია ჩვენს ქალაქს და მცხოვრებლებს მუსრს ავლებს.

ასეთს საშინელს პირობებში პირდაპირ შეუწყნარებელია ის ჯენტლმენობა და თავაზიანობა, რომელსაც ჩვენი ქალაქის გამგეობა იჩენს. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ქალაქის გამგეობის განკარგულებაში არ მოიპოვება მოსამსახურეთა საკმაო შტატი, სიძვირის და სპეკულიაციის შედეგებს ვერც ქალაქმა გაართვა თავი და ამიტომ მისი მეურნეობა აწეწილია, არ არის საკმაო წყალი, რომ ქუჩები რიგზე მოირწყოს და სხვ. მაგრამ ენერგიულ მოქმედებით რამდენიმეთ მაინც შეგვეძლო თავი დაგვეხწია ამ საშინელ არევდარევისთვის: ნუ თუ არ შეიძლებოდა სახლის პატრონები ვალდებული გაგვეხადა ქუჩები და ეზოები დაესუფთავებიათ, ნუ თუ არ შეიძლება სისუფთავე შემოეღოთ რესტორანების დ გასართობების პატრონებს, რომლებიც მცხოვრებლებს ორმაგ ტყავს აძრობენ და ჯიბეებს ისქელებენ? რა საჭიროა ყოველ ქუჩაში და მოსახვევში ვაჭრობის გამართვა და მცხოვრებლების მოწამვლა ბინძურ სანოვაგით, როცა ასეთი ვაჭრობა კიდევ უფრო უწყობს ხელს ცხოვრების გაძვირებას: ვაჭარს, თუ ის თითონ ხელს აღებს სინდისიერ ვაჭრობაზე, შეიძლება თვალყური ვადევნოთ, მაგრამ ქუჩაში მოვაჭრეებისათვის კანტროლის გაწევა ხომ მოუხერხებელია?

საჭიროა მტკიცე და სისტემატიური მოქმედება, საჭიროა საქმის ისე მოწყობა, რომ მთავრობის განკარგულებებს ყველა სავალდებულოთ თვლიდეს და არა უბრალო პროკლამაციათ.

ყველაფერი ეს უნდა იკისროს მილიციის უფროსმა.

როგორც ვიცით, მილიციის სათავეში ახალი პირია ჩაყენებული. ჩვენი სურვილია დავიჯეროთ, რომ პირადობის შეცვლას მოყვება შეცვლა მოქმედების. და რამდენათ მილიციის ახალი უფროსი შეეცდება კანონიერების ნიადაგზე შექმნას წესრიგი და სპეკულიანტ ნაძირალები ალაგმოს, იმდენათ მის მხარეზე იქნება სრული ჩვენი თანაგრძნობა.

ჩვენ ენერგიულათ მოვუწოდებთ დემოკრატიას ხელი შეუწყოს განახლებულ მილიციის განახლებულ მოქმედებას.

## კ. კაუცკის აზრი რუსული „კომუნიზმის" შესახებ

ბოლშევიკების მიერ ოქტომბერში მოწყობილ გადატრიალებას კარლ კაუცკიმ ცალკე წერილი უძღვნა, რომელიც თავის დროზე ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო. მას შემდეგ განვლო რამდენიმე თვემ და კ. კაუცკიც უბრუნდება ხსენებულ საკითხს.

მარტის თვის 24 რიცხვის „საინფორმაციო ფურცელ"-ში გერმანიის დამოუკიდებელ სოციალდემოკრატიისა მოთავსებული ყოფილა ამ საგანზე კ. კაუცკის წერილი, რომლიდან საყურადღებო ადგილები მოჰყავს მოსკოვის სოც.-დემ. გაზ. „ნაშ გოლოსს". წერილის სათაურია—„ბოლშევიზმის სხვადასხვა გვარი კრიტიკა".

„როცა ბოლშევიკებმა პეტროგრადში ძალა-უფლება ხელთ იგდეს,—სწერს კაუცკი,—მათთან ერთად ამ გამარჯვებას ბევრი ჩვენი მეგობრები დღესასწაულობდენ. ეს სიხარული გასაგები იყო იმ ენერგიის გამო, რომლითაც ბოლშევიკები შეუდგენ ჩვენი საერთო სოციალისტური მიზნების განხორციელებას. ზოგ ერთი ჩვენგანი და, მათ შორის მეც, ჯერ კიდევ მაშინ ვუცქეროდით მათ კრიტიკულად იმიტომ კი არა, რომ ჩვენ უარვჰყოფდით მათ საბოლოვო მიზანს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ გვეშინოდა, რომ ბოლშევიკების მოქმედების მეთოდები არა თუ მოგვიახლოვებენ ამ მიზნებს, არამედ, პირიქით, დაგვაშორებენ მათგან. ამ გვარი კრიტიკა მაშინ არსებობდა, როცა ბოლშევიკები არა თუ მარტო რუსეთში იდგენ ძალა-უფლების სიმაღლეზე, არამედ—ისინი გერმანიაშიც სარგებლობდენ კარგის ყურადღებით ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან და ამიტომ ბოლშევიკების მოქმედება-მოწონებას ჰპოვებდა მთავრობის სოციალისტების წრეებში".

ამის შემდეგ, კაუცკის თქმით, მდგომარეობა შეიცვალა. შეიდემანის მომხრეებმა ზურგი უჩვენეს ბოლშევიკებს და კრიტიკა დაუწყეს. ამიტომ საჭიროა გაიმიჯნონ რევოლიუციონური სოციალისტები ისეთი კრიტიკისაგან, როგორსაც აწარმოებენ ბურჟუაზიული და ნაციონალისტური პოლიტიკის მატარებელნი.

შეიდემანის მომხრეები იმას უსაყვედურებენ ბოლშევიკებს, რომ ესენი მოითხოვენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიისგან გერმანიაში რევოლიუციის მოხდენას. ასეთი რევოლიუცია კი დაღუპავდა გერმანიას, გაუადვილებდა საქმეს ინგლისს, რომ მას დაენგრია გერმანია, როგორც ეს რევოლიუციის დროს რუსეთს მოუვიდა გერმანიის სასარგებლოთ. კაუცკი კი ამბობს: „ჩვენი კრიტიკა ბოლშევიზმისა სულ სხვაგვარია. იმას კი არ ვაყვედრით ჩვენ ბოლშევიკებს, რომ ისინი ცდილობენ რევოლიუციის გადატანას აღმოსავლეთიდან დასავლეთში და ამ მიზნით პროპაგანდას ეწევიან რუსეთის საზღვრებ გარეშე. ჩვენი კრიტიკა იქითკენაა მიმართული, რომ ბოლშევიკებმა არავითარი ანგარიში არ გაუწიეს იმ პირობებს, რომლებმაც გამოიწვიეს რევოლიუცია რუსეთში და არც იმას მიაქციეს ყურადღება თუ, რით განსხვავდება თანამედროვე დასავლეთ ევროპისაგან ის პირობები, რომელსაც შეუძლია რევოლიუციის გამოწვევა".

აქ კაუცკი დაწვრილებით არკვევს განსხვავებას საერთო ნაციონალურ ნიადაგს, რომელზედაც მომწიფდა რევოლიუცია ცარიზმის წინააღმდეგ და იმ ნიადაგს შორის, რომელზედაც სდგას პროლეტარიატის მასსიური მოძრაობა, მიმართული მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ. ამ ნიადაგზე შეიძლება მხოლოდ, მისი აზრით, მომწიფდეს რევოლიუცია მრეწველობის მხრით განვითარებულ ქვეყნებში.

„ვიდრე დასავ. ევროპის პროლეტარიატში უთანხმოებაა, როცა ერთი მისი ნაწილი იდეურათ დამოკიდებულია ბურჟუაზიისაგან, მეორე ნაწილი დამოუკიდებლათ არსებობს. არ შეიძლება იმედი გვქონდეს, რომ ძირითადი გადატრიალება მოხდება, რომელიც მხოლოდ ერთადერთმა მუშათა კლასმა უნდა მოახდინოს. ომმა ჯერ ვერ შესძლო ამ უთანხმოებათა დაძლევა, პირიქით, კიდევ უფრო გააღრმავა ის. ეს უთანხმოება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია დაძლეულ იქნას უფრო დიადი ისტორიული მოვლენებით, მაგრამ ეს მხოლოდ შესაძლებლობათ წარმოიდგინების და არა აუცილებლობათ.

„ასე რომ, პირობები რევოლიუციისათვის სხვაგვარათ მოეწყო დასავლეთში, ვიდრე რუსეთში და სწორე არ არის მსჯელობა, რომელსაც ხშირად მიმართავენ: თითქოს ის, რაც შესაძლებელია რუსეთში, შესაძლებლათ უნდა გახდეს დასავლეთ ევროპაში მით უმეტეს, რომ ეკონომიურის მხრით დასავლეთი განვითარების უმაღლეს საფეხურზე სდგას".

„სწორედ ეს განვითარების უმაღლესი საფეხური, ჰქმნის რა ყველა კლასების ნაციონალურათ გაერთიანებას ისეთს, რომელმაც რუსეთში დაამხო მეფობა, აქ დასავლეთში ართულებს რევოლიუციის მოხდენის საქმეს. სამაგიეროდ, როცა დასავლეთში მომწიფდება პირობები იმისათვის, რომ პროლეტარიატმა ხელთ აიღოს ძალა-უფლება, მას იმ წამსვე მზად დახვდება სოციალ ზმის განსახორციელებელი ელემენტები. სოციალიზმი მაშინ მისთვის შორეული საბოლოვო მიზანი კი არ იქნება, არამედ ის იქნება ახლობელი პრაქტიკული საქმე, რაც რა თქმა უნდა, ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს დამთავრებული სოციალისტური საზოგადოების დამყარება შეიძლებოდეს 24 საათში".

რუსეთში მდგომარეობა სულ სხვა გვარია „იქ პროლეტარიატი მსხვილ წარმოებაში შეადგენს მხოლოდ პატარა ნაწილს მთელი ხალხისას, ეს ხალხის უმრავლესობა კი გლეხობისაგან შედგება, უმეტეს ნაწილად წერა-კითხვის უცოდინარ, უგზოობის გამო ერთმანეთისაგან დაშორებულთაგან. ამ გლეხობას არ აქვს არც პოლიტიკური, არც ორგანიზაციული აღზრდა, რაიც შეიძინების დიდი ხნის პრაქტიკული მუშაობით, როცა ხალხი დემოკრატიული უფლებებით სარგებლობს.

„ასეთ საფუძველზე არ შეიძლება აშენდეს სოციალისტური საზოგადოება. რუსეთის რევოლიუციას შეიძლება ჰქონდეს უახლოვეს თავის მიზნად დასახული მხოლოდ დემოკრატიის გამაგრება და ცხოვრებაში დემოკრატიული რეფორმების გატარება, რუსეთის პოლიტიკურის მხრით ევროპის ერთ მოწინავე სახელმწიფოდ გადაქცევა, რომ ასე შესაძლებელი გახდეს დასავლეთისთვის დაწევა. ეს მიზანი ჯერ თავის თავად უდიდესი მიზანი იყო, მაგრამ ბოლშევიკებმა კიდევ მეტი მოინდომეს. არ გაუწიეს არავითარი ანგარიში იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ისინი ფიქრობდენ, რომ იმავე პირობებმა, რომლებმაც რუსეთში რევოლიუცია გამოიწვიეს, გამოიწვევენ აგრეთვე ევროპაშიაც. მეორეს მხრით, ვინაიდან დასავლეთ ევროპაში რევოლიუციის უახლოესი მიზანი იქნებოდა სოციალიზმი, ასეთივე უნდა ყოფილიყო ის რუსეთშიაც. ასე გადასწყვიტეს მათ დაესახათ ის მიზანი, რასაც ისინი უნდა დაემარცხებია. იმისთვის, რომ დღემდე მათ დაეძლიათ ყველა სიძნელენი, საჭირო იყო დიდი ენერგია და გონიერება. ეს მათ გამოიჩინეს. მაგრამ არავითარი ენერგია და ჭკუა მათ არ შესძენს იმ ძალას, რომ გაუმკლავდენ ფაქტების რკინის ლოღიკას. ეს ლოღიკა კი მათ დაღუპვის გზით მიაქანებდა. ვინაიდან რუსეთის სოციალური პირობების გამო დემოკრატია არ მიდის სოციალიზმისაკენ, ბოლშევიკები კი ყოველგვარ დემოკრატიზმს სდევნიან. დემოკრატიული ხმის მიცემით არჩეულ დამფუძნებელ კრებას ითხოვენ და აცხადებენ საკუთარ დიქტატურას, რომელიც იგივე არ არის, რაც პროლეტარიატის დიქტატურა. ამან მაინც ვერ შესძინა მათ ძალა სოციალიზმი ცხოვრებაში გაეტარებიათ. რუსეთის რევოლიუციის ნამდვილი მიზანი—დემოკრატიის მონაპოვარი კი მათ გაანადგურეს. ამით ისინი ძირს უთხრიან რევოლიუციონურ სახელმწიფოს და მასთან ერთად თვით რევოლიუციასაც. ჩვენ იმიტომ კი არ ვაკრიტიკებთ ბოლშევიკებს, რომ ისინი რევოლიუციონურ პროპაგანდას ეწევიან საზღვარ-გარეთ, არამედ—ჩვენ ვეწევით კრიტიკას მათი ანტი დემოკრატიული მეთოდების წინააღმდეგ, რომელსაც ისინი სახელმწიფოს შიგნით აწარმოებენ. ეს ის მეთოდებია, რომლებიც ღუპავენ რევოლიუციას, არა თუ შველიან მას. ბურჟუაზიული ბანაკის კრიტიკოსებისთვის ბოლშევიკების მიერ დემოკრატიზმის შელახვა სულ ერთია, შეიძლება სიმპატიური მოვლენაც იყოს. ყოველ ნაბიჯს, რომელიც ამაგრებს და აფართოვებს რევოლიუციას, ისინი წინააღმდეგობით ხვდებიან. ჩვენთვის კი, პირიქით, დემოკრატიულ წყობილების გადარჩენა რუსეთში უდრის რევოლიუციის ხსნას, უდრის იმ ძალის უმაღლეს ზომას, რომელიც პროლეტარიატს შეუძლია მოიპოვოს და დაიცვას არსებულ პირობებში უშიშრად, რომ ის გადატყორცნილი არ იქნება უკან. ამიტომ რევოლიუციის და პროლეტარიატის ინტერესები გვაიძულებენ ჩვენი დაბეჯითებითი მოთხოვნა გახდეს დემოკრატიის დაცვა".

## პრესა

„სული სულს იცნობსო" ნათქვამია, ალბათ, ამით არის გამოწვეული, რომ კადეტების ორგანო იმპერიალისტური მისწრაფებებით გაჟღენთილი, სომხების დემოკრატიზმზე ღაღადებს

ქვეყანაზე არ ყოფილა, და არც იქნება ისეთი დემოკრატები, როგორიც სომხების დაშნაკელებია. ისინი ქართველებივით, არ სცემენ სასტიკ კანონებს ქვეშევრდომების შესახებ, რეპრესიებს არ მიმართავენ არა სასურველ უცხო ელემენტების წინააღმდეგ, თათრებს ორი პორტფელი შესთავაზეს სამინისტროში. ერთი სიტყვით, ისეთი დემოკრატიზმი შემოიღეს, როგორსაც ინგლისის პრაქტიკაში თუ ყოლია მხოლოდ ბადალი.

რამ გაახარა ასე კადეტების გაზეთი? იგი ხაზგასმით აღნიშნავს:

„ყველა ღირსეული რუსის მოხელენი დარჩებიან თავის ადგილზე" (ნ. ს. № 21).

აბა მეტი რაღა უნდა დემოკრატიზმის განსახორციელებლად?

„საერთოთ ნაციონალიზაციას იმ ფორმით და იმ რაოდენობით როგორც ეს ხდება საქართველოს რესპუბლიკაში, სომხეთში ადგილი არ აქვს".

ეს აშკარათ გამოირკვა თურმე ამ ორი დღის განმავლობაში, რომელიც უცხოვრია სომხეთის რესპუბლიკას. იგი ხომ სულ 2 აგვისტოს გაიხსნა. და აბა ამ ხნის განმავლობაში რამდენის გაკეთება უნდა მოესწრო?

და რაც უმთავრესია: საქმის წარმოება რჩება რუსულ ენაზეო, ხარობს გაზეთი. მართალია იქვე გვარწმუნებს საქმე ენასა და ჩინოვნიკობაში კი არ არის, საქმე ტემპშიაო. მაგრამ აბა აქ ხომ ტემპზე არსად არის ლაპარაკი? განა ტემპია რუსულათ საქმის წარმოება და რუსი მოხელეების დატოვება?

კადეტების გაზეთს სერიოზულათ გონია, რომ ნაციონალიზაციის ტემპი და დატოვება რუსული ენის და ჩინოვნიკების საუკეთესო მაჩვენებელია დემოკრატიზმის და სახელმწიფოებრივი სიბრძნის. ამიტომ ის აღტაცებით უმატებს ბოლოს: „vivat Armenia", (გაუმარჯოს სომხეთსო). როგორც ვიცით, საქართველოს რესპუბლიკის თავის არსებობის პირველ დღიდან არ დაუწყია ნაციონალიზაცია და არც გაურეკია მოხელეები. მაგრამ იგივე ორგანო კადეტებისა „ვივატის" ნაცვლათ სულთათანას უგალობდა, ქვეყნის ცოდვებს ახვევდა, წყევას უთვლიდა ახალ რესპუბლიკას!

რათა?

იმიტომ, რომ საქართველოს შესწევს ძალა არსებობის და განვითარების. ეს კი საშიშია რუსეთის მომავალ ბედისათვის კავკასიაში. სომხები რუსულ ორიენტაციას აღიარებენ, ეს კი სასარგებლოა რუსული იმპერიალიზმისთვის.

აქედან აშკარაა, რათ უმღერიან ოსანნას დაშნაკელთა პოლიტიკას და დამოუკიდებელ სომხეთს. ცხადია ის ფარული განზრახვებიც, რომლის გამო ასე შეაჩვენეს საქართველოს დემოკრატია. იმპერიალისტური ბრჭყალები მოსჩანს როგორც მათ მოთაფლულ ისე მოწამლულ სიტყვებშიაც.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

4 აგვისტო.

ბერლინი. გენერალ ბომეს ლაშქრის 1 აგვისტოს გამარჯვებამ გუშინ შეგვიმსუბუქა ჯარების გადაჯგუფება. ძველ საბრძოლველ ადგილებს მტერი დღლამდე უშენდა ყუმბარებს. უმნიშვნელო შეტაკების დროს მტერს ჩვენ დიდი ზარალი მივაყენეთ. შამპანში ტყვეთ წამოვიყვანეთ 100 კაცი.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტი. თვალსაჩინო ცვლილება ფრონტზე არ მომხდარა.

მოსკოვი. ეს რადიო-დეპეშა მიღებულია მოსკოვის რადიო-სადგურიდან ტაშკენტში გაგზავნილი. ტაშკენტი „სოვდეპს". გთხოვთ გვაცნობოთ ფრონტზე საქმის ვითარება. გამოგზავნილია მოსკოვიდან 2 ათასი წითელგვარდიელი და 10 ჯავშნიანი ავტომობილი. ლენინი.

მოსკოვიდან ტაშკენტით ბაქოში. ბაქო, „სოვდეპს". გვაცნობეთ რა მდგომარეობაა ბაქოში. სად დგას ოსმალთა ჯარი, რამდენი მანძილითაა ბაქოზე დაშორებული. საჭიროა სამხედრო მასალა? გამოგზავნილია 1,000 წითელგვარდიელი და 5 ჯავშნიანი ავტომობილი. მოსკოვში ხმებია გავრცელებული, რომ ბაქო ოსმალებმა აიღესო. ლენინი.

ბაქოს რადიო-სადგურის ცნობა. 3 აგვისტო. მოსკოვში. ტაშკენტით ბაქოდან. ბაქოს მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. ოსმალები ჯერ-ჯერობით უძლურნი არიან დასძლიონ ბოლშევიკთა ჯარების წინააღმდეგობა. სასტიკი ბრძოლა სწარმოებს.

5 აგვისტო.

მოსკოვი. გამოირკვა, რომ ჩვენს ყოფილ მოკავშირეთ სურთ ჩაითრიონ რუსეთი გერმანიასთან ომში. ამის გამო საბჭოთა მთავრობამ მსოფლიო პროლეტარიატისადმი მიმართვა გამოსცა, რომელშიაც მოუწოდებს ებრძოლოს ყოველგვარი საშუალებებით მეომარ კოალიციის სახელმწიფოებს, რომლებიც ხალხს სულის მოთქმას არ აძლევენ. ამ მოწოდებაში სხვათა შორის ნათქვამია: ინგლისმა და მისმა მოკავშირეებმა იმედი დაჰკარგეს, რომ გერმანიას დასძლევენ ბრძოლის ველზე რუსეთის დაუხმარებლად, ამიტომ ისინი არ ერიდებიან არავითარ საშუალებებს, რომ აამხედრონ რუსეთის საზოგადოებრივი აზრი, შექმნან რუსეთში ჯარი და რუსეთს გადაუძახონ ახალ სისხლის მღვრელ ომში. ინგლისმა და სხვებმა უნდა იცოდენ, რომ გერმანიის იმპერიალიზმის დაძლევა შესაძლებელია მეორე კოალიციის იმპერიალიზმის საშუალებით კი არა, არამედ—მსოფლიო პროლეტარიატის მეგობრული ამოძრავებით. ამიტომ კი არ უნდა განვაგრძოთ ჩვენ ომი, რომელიც მილიტარიზმს და ბურჟუაზიას აძლიერებს, არამედ რაც შეიძლება საჩქაროთ უნდა დავამთავროთ ის, რომ შემდეგ შევუდგეთ კლასიურ ბრძოლას, ბრძოლას გაყვლეფილებისა გამყვლეფლების წინააღმდეგ, რომლითაც დამთავრდება ყველა ერთა სამართლიანი სოციალური და ნაციონალურ მოთხოვნათა დაკმაყოფილება. ინგლისის, საფრანგეთის და შეერთებული შტატების ამხანაგო მუშებო და გლეხებო, უკეთუ რუსეთი იქნა ჩათრეული გერმანიასთან ომში ეს თქვენ ვერ გიხსნით სისხლის ღვრისაგან, არამედ—გაამაგრებს კიდევ უფრო გერმანიას, რომელთაც მსხვერპლად შეეწირება რუსეთის მუშათა და გლეხთა რევოლიუციის მონაპოვარნი. ეს იქნებოდა გერმანიის სურვილის განხორციელება, ვინაიდან გერმანიას ყველაზე მეტად ეშინია რუსეთის რევოლიუციის ალი არ მოეღოს. ხდებით რა თქვენი მთავრობის ხელში ბრმა იარაღებათ, ამხანაგებო გლეხებო და მუშებო საფრანგეთის, ინგლისის, შეერთებული შტატებისა და იტალიისა ამით თქვენ ხდებით რუსეთის რევოლიუციის ჯალათებათ.

—

სააგენტო აცხადებს, რომ ვინაიდან სააგენტოსა და თფილისის რადიო სადგურს შორის შესწყდა როგორც ტელეფონის, ისე ტელეგრაფის დამოკიდებულობა, დღ. ნარჩენ რადიო-დეპეშებს ვეღარ ვაწვდით ხელის მომწერლებსო.

## უკანასკნელი ცნობები

### ბაქოს ალება

ბაქოში ადერბეიჯანის ჯარები ოსმალთა ჯარებთან ერთად შევიდა 2 აგვისტოს საღამოთი. ბაქოს ეს ჯარები უტევდენ ორის მხრით: სულეიმანოვის რაზმი მიდიოდა შემახის მხრიდან, სა

...ლმოვის რკინის გზით ეჯიკაშულ...დან. ქალაქში პირველად შევიდა სალიმოვის რაზმი. მიღებული ცნობების თანახმად ოსმალებს ტყვედ წამოუყვანიათ 5 ათასი კაცი. ბაქოს დამცველ გარნიზონიდან მოუკლავთ და დაუჭრიათ 7 ათასამდე კაცი. ნავთის წარმოებები არაა დაზიანებული. კასპიის ზღვის ფლოტი ასტრახანისკენ წასულა. ამბობენ, ვიდრე სტამბოლის კონფერენციაზე საბოლოვოთ გადაწყდებოდეს ბაქოს საკითხი, ის შეერთებული იქნება ადერბეიჯანის რესპუბლიკაზე.

# დღევანდელი რუსეთი

რუსეთის ამბების გაგება ყველას აინტერესებს ჩვენში, ყველას უნდა იცოდეს, თუ რა ხდება იმ ქვეყანაში, რომლის ბედთან ამდენი ხანია იყო შეკავშირებული ჩვენი ქვეყნის ავი თუ კარგი და რომლისგანაც ჩამოშორებამ საგრძნობლად ააფორიაქა ქართველი ერის სხვადასხვა წრეების აზროვნება. ბევრს ჰგონია, რომ რუსეთი ძველებურად უძლეველია და ჩვენი ჩამოშორება მარტო პარტიულის ქონიანობით აიხსნება. ზოგს სიტყვით რომ სჯერა რუსეთის დაქუცმაცება და დაუძლურება, გულში მაინც რაღაც ეჭვები აქვს და ფიქრობს—ვაი თუ პარტიული ცალმხრივობის მახვერპლი ვართ. ბევრ გულუბრყვილოს კი გულწრფელათ სწამს ბალშევიკების სოციალიზმი და დღევანდელი რუსეთი ბეჩიერების წყაროთ ეხატება,—სოციალისტური რუსეთი აღთქმის ქვეყანაა მათთვის.

ყველაფერ ამას ხელს უწყობს და ალვივებს გზების უქონლობა და ჩვენი მხარის თითქმის სავსებით მოწყვეტა რუსეთზე. იქაურ ღირს-შესანიშნავ ამბებს მხოლოდ ორი—სამი თვის შემდეგ თუ გავიგებთ. ასეა იქ ჩვენს შესახებაც—არც იქ იციან და ხშირად ისეთ სიყალბეს ნახავთ საქართველოს შესახებ მოსკოვის და პეტერბურგის გაზეთებში, რომ სიცილით თავს ვერ იკავებ.

ჩვენ ამ ჟამად ხელთა გვაქვს რუსეთის სხვადასხვა გაზეთების რამდენიმე ნომერი და ვეცდებით ამ გაზეთების მიხედვით შეძლებისდაგვარად ჩამოყალიბებული სურათი დავუხატოთ ჩვენს მკითხველებს. გაზეთები ივლისის პირველ რიცხვებისაა, არის მაგ. როგორც ესერებისა და მენშევიკების ორგანოები, ისე ბალშევიკების ოფიციოზები.—ჩვენ ვნახავთ ბალშევიკურ რუსეთს, როგორც შინაურ ცხოვრებაში, ისე საგარეოში.

1. რუსეთის დანაწილება.

ის ვეებერთელა დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც წინ უძღვებოდა და ...ბდა რვა თვის განმავლობაში რევოლუციონური დროებითი მთავრობა, დღეს ერთიანად დანაწილებულია: ჩამოშორდა ფინლიანდია, უკრაინა, ციმბირი, ...ის იქეთა მხარე, დონის ოლქი, ჩრდილო კავკასიის დიდი ნაწილი და მთელი ამიერ-კავკასია. ასე რომ, დღეს ...ლ რუსეთს შეადგენს ველიკოროსია, ანუ ის რამდენიმე გუბერნია, რომელიც გარს არტყია რუსეთის შუა გულს—მოსკოვს. არც ერთ ბალშევიკ ...ფს არ შეუძლია გვაჩვენოს გარკვეულ რუსეთის საზღვრები, რომელთა ცვალებადობა პირდაპირ ზღაპრულია, ...სა თუ ის მხარე ხან ბალშევიკების ხელშია და ხან მათი მოწინაალმდეგების და ასე დაუსრულებლივ ქანაობს დღევანდელი მოსკოვია რომლის ნამდვილი ბატონ-პატრონნი ლენინი და მისიანები არიან.

როგორი მართვა გამგეობაა მოსკოვიაში და მოშორებულ ნაწილებში?

უკრაინაში თვითმპყრობელობამ მოიკიდა ფეხი და გეტმანმა სკოროპადსკიმ ...ის არის ნიკოლოზის დრო მოანატრა მალოროსიას. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა ფინლიანდიაშიც, სადაც ...ნად გაბატონდენ სტაროფინები. ციმბირი ჩეხო-სლოვაკების ხელშია და ...მემარჯვენე ესერების გავლენით ჯერ კიდევ ებღაუჭებიან დამფუძნებელ კრების იდეას, მაგრამ, ეჭვი არაა, რომ აქაც შავი საქმე კეთდება და თავისუფლების ბორკილებს ჰკიდავენ. ...ში გამეფდა გენერალი კრასნოვი, ...ც ამ ბედშია; ამიერ კავკასიაში ...ც არის ეს ჩვენ ვიცით.

როგორც ხედავთ, დიდი რუსეთის ერთ დროს შემაერთებელი და შემაკავშირებელი ძაფები დღეს უკვე დაწყვეტილია და სულითა და გულით რომ ...ოდეს ამა თუ იმ მხარეს ერთმანეთის დახმარება, ამას მაინც ვერ შესძლებს.

...ლენინის სამეფოც—მოსკოვია—არ წარმოადგენს რაიმე მჭიდრო ორგანიზებულ ერთეულს და იქაც მარჯვენამ ...ის ხშირად, თუ რასა შვრება მარცხენა. ამგვარი მდგომარეობა პირდაპირ ...შეადგენდა ლენინისათვის და ...ასრულა იგი. რუსეთის ბალშევიკები ...რესპუბლიკას უწოდებენ. ეს კი ...ნიშნავს, რომ ყველა მუშათა თუ ... საბჭო დამოუკიდებლად მოქმედებს და პატარა სახელმწიფოს წარმოადგენს. ყოველ ქალაქს თუ სოფელს ...ეთი, რომელიც კიდეც კანონმდებლობს საკუთარ ჟინზე და ხანდახან თუ ხელმძღვანელობს ცენტრში გამოცემულ დეკრეტებით. ამიტომაა, რომ ძალიან ხშირად ერთი საბჭოს ნაბიჯი მეორისას ეწინააღმდეგება: აქ ასეთი კანონებია, იქ ისეთი. ერთ ქალაქში ერთი ქუდი უნდა დაიხურო, მეორეში—მეორე. აი ამ პატარა სახელმწიფოთა კავშირს ეწოდება ფედერატიული რესპუბლიკა, რომელსაც ჯერაც კი არა აქვს დაწერილი კონსტიტუცია — კანონთა კრებული—და ყველაფერი ისე ზეპირათ კეთდება. ბალშევიკების აზრით აქ ხალხის ბუნებრივმა შემოქმედებამ უნდა იჩინოს თავი და ამ გზით თანდათანის გამოცდილებით უნდა შეიქნეს ახალი სოციალისტური კანონები. მანამდე კი მათის აზრით სრულიად სამართლიანია თუ ერთი და იმავე დანაშაულისათვის სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ნაირად დაისჯება ადამიანი.

2. სამხედრო ძალა.

სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის სრულ დაშლას და უსისტემობას სავსებით შეეფერება დღევანდელი რუსეთის სამხედრო ძალაც. კარგა ხანია ბალშევიკები შეუდგენ წითელი არმიის შექმნას, მარა არ იქნა და ვერ მოაგვარეს საქმე; პროექტს პროექტზე თხზავს ტროცკი, მარა ჯერჯერობით მხოლოდ მოსკოვის მთავრობის დამცველი რაზმები შექნეს. აგერ ეგერ მათის სახელით მომქმედი წითელი გვარდია ეს ბევრ შემთხვევაში, როგორც თითონ აღიარებენ, დაქირავებულ ნაძირალთა ბრბოა და მეტი არაფერი. ეს ჯარები მხოლოდ შინაურების საძარცვავათ ვარგა და დისციპლინის მათ არა სცხიათ რა. ერთად ერთი დისციპლინიანი სამხედრო ძალა ეს ლატიშთა პოლკებია, რომელნიც ტროცკის აზრით რუსეთის მომავალი ჯარის სული და გული უნდა იქნეს,

3. ეკონომიური ცხოვრება.

ეს დარგიც ერთიანად აწეწილ დაწეწილია და არეულია, „ძალლი პატრონს ვედარ სცნობს“. ერთ ქალაქში რომ შიმშილით იხოცებიან, მეორეში საკმაო პურია. შიმშილობა საშინელ აჩრდილად ევლინება მთელ რუსეთს. ერთ დროს პურით მდიდარი ქვეყანა, დღეს საკუთარ თავს ვერ ირჩენს და მისი აუარებელი მიწები უხნავ-უთესავია, ან და სხვისი კერძია.

სათბობი მასალის უქონლობის გამო უკვე დაიხურა მრავალი ქარხანა და მრავალიც სიკვდილის პირადაა მისული აუარებელი მუშა ხელი რჩება ქუჩაში და პირისპირ უდგება შიმშილით სიკვდილს. მოკლეთ, როგორც მუშების, ისე გლეხობის დიდი უმრავლესობის მდგომარეობა თანდათან უარესდება და არ იცის კაცმა სანამდის დაეშვება იგი. ლენინის მოძრაობამ გაბედნიერების მაგიერ ერთიანად გააჯოჯოხეთა მშრომელთა მდგომარეობა.

4. გერმანელები და ბალშევიკები.

აი ასე დაუძლურებული, დაქაქსული და შიმშილით ქანცმილეული რუსეთი დღეს მონურად დგას ბრესტ-ლიტოვსკიდან მოსულ ბატონის წინაშე და უსიტყვოდ ასრულებს მის სურვილებს: აძლევს ნედლ მასალას და როგორც სპირიდონოვის ქალმა განაცხადა უკვე გაუგზავნიათ რამდენიმე მილიონის მანუფაქტურა გერმანიაში. ბალშევიკებმა კარგათ იციან, რომ მათი ბატონობის ყავარჯენი ბრესტში დამეგობრებული გერმანელები არიან და ამიტომ კიდეც ცდილობენ არ აწყენინონ მათ. ევროპის არც ერთი მთავრობა ბალშევიკებს არ სცნობს პირიქით ამ უკანასკნელ ხანებში მასთან საბრძოლველათაც კი ემზადებიან და რა გასაკვირია, რომ გერმანელებს აგრე ჩაებღაუჭონ ბალშევიკები. ოღონდ მათი ბატონობა ნუ მოისპობა, ოღონდ ლენინი იჯდეს ტახტზე და გერმანელებმა რაც უნდათ, ისა ქნან. საქვეყნო სოციალისტურ რევოლუციამდე მინდა მივიყვანო სოციალისტური რუსეთი ამ გზითო,—ამბობს ლენინი. ამნაირათ, სოციალიზმის სახელით ნელ-ნელა დაადგეს მრავალტანჯულ რუსეთის ხალხს იმპერიალიზმის მძიმე უღელი.

ვ. ხუროძე.

(დასასრული იქნება).

# ახალი ამბები

**ხეირნობა სახახლის ბაღში.** გურიის დამხმარე კომიტეტი აცხადებს, რომ სეირნობა სასახლის ბაღში კომიტეტის მიერ გამართული საქართველოს ტერიტორიაზე ომის დროს დაზარალებულთა სასარგებლოთ დასრულდება დღეს. დღეს ვე გაიყიდება დარჩენილი ნივთები აუქციონით.

✦ **ბალშევიკი ტყვეები.** 4 აგვისტოს ... ფრონტიდან თფილისში ჩამოიყვანეს და თფილისის საგუბერნიო ციხეში მოათავსეს ბალშევიკი ტყვეები, რიცხვით 144 კაცი.

✦ **ყალბი სამ მანეთიანები.** ქალაქში ბოლო დროს გავრცელდა ყალბი სამ მანეთიანები ამიერ-კავკასიის ბონებისა. ყალბი სამ მანეთიანი ძალიან გაირჩევა ნამდვილისაგან, მხოლოდ ქართულ წარწერაში სიტყვა „საკრედიტო“-ში ასო ო ს მაგიერ სწერია სომხური ...

✦ **სპეკულიაციის და უსუფთაობის წინაალმდეგ.** მილიციის უფროსის ახლად დანიშნული თანაშემწის აპ. ურუშაძის განკარგულებით კვირას დილით მილიციონერებმა ჩამოიარეს ქალაქის სხვადასხვა ადგილები და აკრძალეს ქუჩებში ყოველგვარი ვაჭრობა, რაც დღემდე იყო გაჩაღებული. სულ რამდენიმე წამში სავაჭრო მოედნები გაწმენდილ იქნა ფეხზე მოვაჭრე ხალხისაგან. ველარ შეხვდებოდით კვირას და გუშინ როგორც წინეთ იყო ქუჩებში პურს, ხორცს ყველს და სხვადასხვა ხილეულობას. ყოველგვარი სანოვაგეები იყიდებოდა შესაფერ დუქნებში, როგორც სპეკულიაციია გაჩაღებამდე იყო. მაგ პურს იყიდდით ფურნეში, ხორცს—საყასბოში, ხილს ხილის დუქნებში და სხ. სახლის ეზოებში შესასვლელ კარებში გამართული ხილის და სხ. სავაჭროებიც დაიხურა. საგანგებო ყურადღება მიქცეული ქალაქის გასასუფთავებლათ სახლის პატრონი, რომელიც სისუფთავეს არ დაიცავს, დაჯარიმებული იქნება. მოვაჭრე ხალხის მოშორებით თფილისის ქუჩებმა წეს-რიგის მქონე ქალაქის ქუჩების სახე მიიღეს.

✦ **ფოსტაზე თავდასხმა.** როგორც ოზურგეთიდან გვატყობინებენ 4 აგვისტოს ნატანებიდან 4 ვერსის მოშორებით ოზურგეთის გზაზე თავს დასხმიან ფოსტას, მოუკლავთ მილიციონერი ილიკო ტულუში, მგზავრები: დათიკო გუგუნავა და იაკინთე მამულაშვილი; მძიმეთ დაუჭრიათ 4 კაცი. წაუღიათ 250 ათასი (?) მანეთი.

✦ **ყუმბარა.** გუშინ ალექსანდრის ქუჩაზე ყუმბარა იპოვეს. გასინჯვის დროს ყუმბარა გასკდა. 3 კაცი დაიჭრა.

✦ **ღვინოს შეკვეთა.** საქართველოს მთავრობას დიდძალი ღვინო შეუკვეთეს გერმანიიდან, ავსტრიიდან, ბულგარეთიდან და რუმინეთიდან. ღვინოში კარგ ფასს იძლევიან. ამ სახელმწიფოებში სპირტეულობის კრიზისი ყოფილა.

✦ **რკინის გზის მთავარ კომიტეტს** უფლება მიეცა შეიძინოს პური სხვადასხვა საქონელზე გაცვლით.

✦ **მთავრობამ დაადგინა:** 1) მიენდოს სასურსათო მინისტრს ხელშეკრულობა დასდოს ადერბეიჯანის მთავრობასთან შაქრის პურზე გაცვლის შესახებ. 2) მიეცეს უფლება საინტენდანტოს შეისყიდოს ჯარისათვის პური და ამის შესახებ მოელაპარაკოს სასურსათო მინისტრს.

✦ **ხოლერა.** 4 აგვისტოს ხოლერით ავათ გახდა 8, მორჩა 6, მოკვდა 5. ხოლერის ნიშნებით ავათ გახდა 4.

✦ **სახლის პატრონთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე ბინის ფასის გამომუშავების დაკანონების შესახებ.** შინაგან საქმეთასამინისტრომ დაადგინა: შესდგეს ამ საქმის მოსაგვარებლათ კომისია, რომელშიაც შევლენ წარმომადგენლები შინაგან საქმეთა სამინისტროსი ქალაქის თვითმართველობის და სხვა დაინტერესებულ ამ საქმეში დაწესებულებების.

✦ **ახალციხისა და ახალქალაქის** ჩამოჭრის შემდეგ საქართველოში დიდი ძალი ქართველი ლტოლვილები დასახლდენ. განზრახულია ისინი საქართველოს სხვადასხვა ადგილებში იქნან დასახლებულნი. მიწათმოქმედების მინისტრს მთავრობა შეეკითხა, თუ სად შეიძლება მათი დასახლება.

✦ **მილიციის უფროსმა** მილიციონერებს უბრძანა ყურადღებით მოეპყრან თავიანთ მოვალეობის ასრულებას. ვინც თავის მოვალეობას პირნათლად არ შეასრულებს, ის სამსახურიდან დათხოვნილი იქნება და სამი თვით დაპატიმრებული.

✦ **საქართველოს სამხედრო გზებზე** სრული წესიერებაა აღგენილი, ამიტომ გენ. კონიევი და ვ. ჯუღელი ამ დღეებში ჯარითურთ თფილისში დაბრუნდებიან.

✦ **გარნიზონის უფროსმა** დაატუსაღა მფრინავი რაზმის ჯარისკაცი თუხარელი კაცის მოკვლისათვის. ახმედმირზა მამედ-ოღლი, კაზარ აბდულა ოღლი, გემბერ ალი მირზა ოღლი, ეზეფ ასაა ოღლი—გერმახიის მისიის წინადადებით.

✦ **აფხაზეთის საქმეთა მინისტრის** განკარგულებაში გადაიდო 10 ათასი მანეთი.

✦ **ოსმალეთის ჯარების გენერალი** ხალილ ფაშა კვირას, 4 აგვისტოს, ჩამოვიდა თფილისში.

✦ **თავისუფალია მასწავლებლის ადგილი** ქ. შ. წ. კ. გ. ს. შემდეგ სკოლებში: 1) საგურამოს (დუშ. მაზრ.); 2) ბორჩალოს—(თფ. მაზ.); 3) გომარეთის; 4) აკაურთის; 5) ყალამშის (ბორჩალოს მაზრა); 6) ვარიანის და 7) ატენის (გორის მაზრა) თხოვნები და საბუთები უნდა გამოიგზავნოს წ.-კ. გ. ს. მისამართზე: სასახლის ქუჩა, № 5.

✦ **გაგრის** სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი მწუხარებას გამოსთქვამს სასიქადულო მასწავლებლის გიორგი ვალენტინეს ძე პლეხანოვის გარდაცვალების გამო.

# აგრარული საკითხი

## მცირე შენიშვნა დიდ კითხვაზე

დღეს ბევრი მითქმა მოთქმაა მიწის რეფორმის გარშემო, ანუ უკეთ, ჩამორთმეულ მიწით სარგებლობის ფორმის გარშემო. ამ მითქმა-მოთქმაში, როგორც პრესაში, აგრეთვე სფეროებშიაც, ბევრ შემცდარ დასკვნებს ვხვდებით და ეს იმ-ტომ, რომ საკამათო საგანი კარგათ არაა შესწავლილი და თვით დაინტერესებული მასის (გლეხობის) აზრი სისწორით არაა გაგებული.

საზოგადოთ გლეხს და, მით უმეტეს ქართველ გლეხს რომ კერძო საკუთრება უყვარს—ეს ახალი ამბავი არაა, მაგრამ ყველაფერი კონკრეტიულ მოვლენასთან შეთანხმებით უნდა გავსაჯოთ, თუ გვინდა შეცდომა ავიცდინოთ. და თუ კითხვას ასე დავსვამთ, ე. ი. თუ ვიკითხავთ—დაჟინებითი მოთხოვნილებაა თუ არა ჩვენი გლეხობისა—**ჩამორთმეული მიწები საკუთრებათ დაურიგდეს**—პასუხათ „ჰოოს“ მაგიერ „არა“ ს მივიღებთ გლეხთა უმრავლესობიდან. ამის საბუთს გვაძლევს არა მარტო გლეხთა სიეზდები და გლეხთა საბჭოების რეზოლიუციები, არამედ ყველა ასე თუ ისე ფართო კრებები საზოგადოებებისა. როცა გლეხთა კრება კამათში ითვალისწინებს დღევანდელ მდგომარეობას, რომ მიწა აქა-იქაა ჩამოსართმევი, რომ ის გაცილებით ცოტაა, ვიდრე საჭიროა, რომ მისი დარიგება ყველა გლეხზე შეუძლებელია, ისინი ეგუებიან იმ აზრს, რომ დარჩეს „საზიაროთ“ და ჩაბარდეს საზოგადოების მიერ არჩეულ კომიტეტსო. ისინი ხვდებიან, რომ მისი დაყოფა აუცილებელს გახდიდა მთელ ომებს საზოგადოებებ შორის, რომ მიწას დაეპატრონებოდა ის სოფელი, რომლის ახლოსაც ძევს მემამულიდან მიღებული მიწა და სხვა. ამიტომაც შეურიგდენ მუნიციპალიზაციას, თანხმდებიან „საზიაროთ“ ქონდეთ ჩამორთმეული მიწა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ჩამორთმეული, მემამულისაგან მიღებული მიწა, აქნობამდე რომ მემამულის სრულ განკარგულებაში იყო, ხოლო ამის გარეშე ყველა ის მიწები, რომლებიც ივანე ან პეტრე გლეხს დღემდე ქონდა ან კერძო საკუთრების სახით, ან ნადელის სახით, ან სახიზნო მიწის სახით, ან რაიმე სხვა ფორმით, გლეხის დაჟინებული მოთხოვნილებაა იყოს მისი კერძო საკუთრება, საბუთებით აღიარებული. კერძო საკუთრება კი გლეხს ფართოთ ესმის: ამ მიწის შესახებ ის არ უნდა იყოს შეზღუდული არავითარი კანონით, უნდა თვით იმუშავებს, უნდა გააზიარებს, უნდა საიჯაროთ მისცემს, უნდა გაყიდის. სრული თავისუფლება, არავითარი შეზღუდვა ამ მხრით, აი გლეხის კატეგორიული მოთხოვნილება. ჩვენი გლეხები შეაშინა და ათასნაირი ეჭვები დაუბადა იმან კი არა, რომ მემამულის მიწა მას არ მიუსაკუთრეს, არამედ იმან, რომ მისი საკუთრების გაყიდვა აუკრძალეს. ამაში მან დაინახა საფრთხე, რომ მიწა, მამასისხლათ შეძენილი და სისხლითა და ოფლით გაპოხიერებული უკვე ეკარგება. „ჩემი ოთხიოდე ქცევა იყოს ჩემივე უფლება, მე შემეძლოს მისი გაყიდვა ან-და ჩემი მეზობლიდან მისი საკუთარი ნაჭრის ყიდვა და მემამულის მიწა იყოს, ბატონო, „საზიარო“ ვო, გვესმის ყველგან, სადაც კი აუხსენით გლეხებს მიწის საკითხი, იყო ეს იმერეთში, ლეჩხუმში თუ ქართლში. ასევე ამბობენ გურიაშიაც, რამდენათაც გავეცანი მათ აზრს.

ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ მინდა, თითქო ჩამორთმეული მამულის სარგებლობის ფორმათ გლეხებს ძალიან მოსწონდეთ მუნიციპალიზაცია. არა, გლეხები მხოლოდ ურიგდებიან ამ ფორმას, რადგან სხვა ფორმა კიდევ უარესათ მიაჩნიათ და რადგან დაყოფა საკუთრებათ საფრთხეს წარმოადგენს მისი სიცოტავის, მისი მარტო ზოგ ადგილებზე არსებობის გამო. მუნიციპალიზაცია, მაშასადამე, გადის ჩვენში და ის სასარგებლოა, მას შეცვლა კი არა ხელის შეწყობა და გამაგრება უნდა, ამ ფორმის იდეის პოპულიარიზაცია საპროპაგანდო მხრიდან არ უნდა ამოვარდეს.

მიუხედავად ამისა მე მაინც აუცილებლათ მიმაჩნია ზოგი ჩამორთმეული მიწების გლეხებზე საკუთრებათ გადაცემა. ეს მიწებია პატარ-პატარა ნაჭრები გაბნეული სოფლიდან სოფელში და არეული გლეხთა საკუთარ ნაჭრებში, ეს მიწებია ჩამონაჭრები პატარა მემამულის ნორმიდან. ამ მიწების მოვლა მუნიციპალიტეტს ისე გაუძნელდებოდა, რომ სულ ერთია ბოლოსაც არის უნდა გაეყიდნა, უნდა გადაეცა გლეხებისთვის კერძო საკუთრებათ. ამ მიწების გადაცემით მუნიციპალიტეტი არას იზარალებდა, ხოლო ხაზინა ბევრს მოიგებდა, ვინაიდან მუნიციპალურ მეურნეობით ის არავითარ შემოსავალს არ მისცემდა, პირიქით მათ მოვლას თან გადაყვებოდა დიდი მამულების შემოსავალიც, ხოლო ეხლა მისი გაყიდვა კი, რაც უნდა შეღავათიან ფორმებში გავყიდოთ, ხაზინას მისცემდა მილიონებს.

გაყიდვას მოწინაალმდეგები აჩქარდებიან და მკითხვენ: ჯერ კითხვაა როგორ გადავცეთ, ფასში თუ უფასოთ, მაგრამ ეს კითხვა თვით გლეხებმა ყველგან ფასათ გადაწყვიტეს ამავე მიზეზის გამო, რა მიზეზითაც მიწის „საზიაროთ“ (იგულისხმე მუნიციპალიზაცია) დატოვებას შეურიგდენ. გლეხები ხედავენ, რომ ეს ნაჭრები გახდება ასში ერთს და უნდა დარჩეს იმათ, ვის სოფელში ან ვის ახლოსაც ძევს. მოპოებული კი საერთო ძალითაა. ამიტომ მას, ანუ უკეთ მის უმრავლესობას, რომელიც ამ მიწას ვერ მიიღებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მიწა ცოტაა, აკმაყოფილებს ის, რომ მიწის მიმღები უმციresობა ფულს გადიხდის საერთო ხაზინის სასარგებლოთ.

ამნაირათ, ჩემი დაკვირვებით, მიწის რეფორმამ, რომ მას ცხოვრებაში ნიადაგი დაურჩეს და, პირველათ ყოვლისა, გლეხთა უმრავლესობა შეათანხმოს, უნდა დაგვირგვინდეს შემდეგი განვითარებით: 1) ჩამორთმეულ მიწებიდან მხოლოდ ცოტათ თუ ბევრათ დიდი და მოზდილი მამულები დარჩეს მუნიციპალიტეტის განკარგულებაში; 2) ყველა პატარა მამულები და ნაჭრები გადაეცეს საკუთრებათ მცირე მიწიან გლეხებს ადგილობრივი კომიტეტების დახმარებით; 3) გადაცემულ მიწებში უნდა გამოერთვათ ერთათ ან ნაწილ-ნაწილათ განსაზღვრული ფასი (შედარებით შეღავათიანი); 4) გამოცხადდეს სრული თავისუფლება ყიდვა-გაყიდვისა, როგორც ნაყიდ აგრეთვე ნორმათ დატოვებულ მიწაზე, ყოფილ სანადელო მიწაზე, ყოფილ სახაზინო და სხვა, ე. ი. ყველა მიწაზე, რომელიც ამა თუ იმ სახით კერძო საკუთრებათ რჩება ყოფილ გლეხს თუ ყოფილ მემამულეს ამ რეფორმის შემდეგ.

აქ ლაპარაკი არ მქონია ტყეზე, ვინაიდან ამაზე ორი აზრი არ არსებობს, ყველა ცნობს იმას, რომ ტყეები სახაზინოთ უნდა დარჩეს. საჭიროა მხოლოდ ტყეების მიღების დაჩქარება, რომ გაჩეხვას გადავარჩინოთ.

ზ. დათიაშვილი.

# დუშეთის მაზრის ცხოვრებიდან

24 ივლისი. შეკითხვაზე: მიიღეს თუ არა გრემ-ხევის რაიონის მცხოვრებლებმა მონაწილეობა აჯანყებაში—პასუხი მივიღე:

— როცა წყალი ადიდდება, ყველაფერს წაჰლეკავს; რაღა თქმა უნდა ჩვენც შევუერთდებოდით ამ ღელვასო—გამოტყდა ერთი გლეხი, რომელიც მიჰხვდა რომ სოფლის სამტროდ არ ვიყავით მისულნი.

სამაგიეროდ ძნელი იყო დანარჩენების მოწვევა.

დაგვინახეს თუ არა, მაშინვე შიშის ზარმა დაუარათ: „ვაიმე, ალბად ჯარი მოდის ჩვენს გასანადგურებლად, რომ მზვერავები გამოუგზავნიათო“.

— დღეს გულ-მოცემული უნდა ამოვიგდებინო ფიციო, რომ გავფანტო ეს ხმა—მოიჩივლა ნიკა ბუძალაძემ.

ან რად მოვლენ ჩვენს სამტროდ, რას გვერჩიან—სთქვა მისმა მეზობელმა, იარაღი სავაზარეთ და მშვიდობიანს ცხოვრებას დაუბრუნდით. სოფელში თითქმის აღარც კია იარაღი. იმ დღეს მგელი ჩამოგვივარდა, იმისთანა ხარი დაგვიხრჩო, რომ ას თუმნად ვერსად ვიშოვით. თოფი არა გვქონდა მოგვიგერიებინაო. გრემი-ხევის რაიონის კომისრობას უსასყიდლოდ ეწევა ნიკა ბუძალაძე. ის ძველი მებრძოლი ყოფილა და დიდი ტანჯვაც გამოუვლია ციმბირში გადასახლებულს.

ამ არეულობის დროს მას ერთი კურიოზი შემთხვევია. მეამბოხეებს, როგორც მხნესა და მტკიცე კაცისათვის მიუნდვიათ გრემის ხევისა და სხვა სოფლებიდან ჩამოსულ გლეხთა ჯარების უფროსობა. ნიკა ბუძალაძე დიდს უარზე დამდგარა, მაგრამ არ გაჰშორებიან.

— კარგიო—დასთანხმებია ნიკა, თუმცა, გულში უთქვამს—რაც ჩემგან სარგებლობა ჰნახოთ მაშინ დაიკვეხეთო.

„კამანდირს“ ბუძალაძეს სხვადსხვა „სტრატეგიული მოსაზრებით“ თავისი ჯარი ჭინტილის ქედთან დაუბანაკებია და უბრძანებია: აქედან ფეხი არ წასდგათ წინა. ვისაც სახლში დაბრუნება უნდა მხოლოდ ის შემიძლიან გაუშვაო. ჯარს უცვნია, უცდია: ან ახლა შეუტიოთ მტერს, ან ახლაო და რაკი არ ჰლირსებიათ შეტევა და ვერ დაუყოლებიათ „კომანდირი“, ერთი მაგრა შეუკურთხნიათ მისთვის და საკუთრივ შესდგომიან ბრძოლის სამზადისს.

— მე ცოდვა ბრალი ამილია, ახლა თქვენ იცითო—უთქვამს ნიკას და შინისკენ ძუნძულით წამოსულა.

გრემის ხევში გავეცანი ერთს ფრიად საყურადღებო ამბავს, რომელმაც განცვიფრება გამოიწვია.

მამასისხლური სიძვირე, რომელიც თანდათან იზრდება, როგორც მოგეხსენებათ ყველგან აჩანაგებს ხალხს. მის წინაალმდეგ ვერა გამოუგონიათ-რა. თფილისშიაც კი, სადაცაა ჩვენი ცენტრი და მთავრობა უფრო მეტს ბრძოლას ეწევა სპეკულიაციის წინაალმდეგ, აქ ეს უკანასკნელი თითქოს გამოსაჯავრებლად უფრო იზრდება.

...ქისხევი, როგორც ჩვენ მოვიხსენიეთ ... უნდა გამხდარიყო სპეკულიაციის მოედნად, განსაკუთრებით ამ არეულობის დროს ... არაფერი იყო. წარმოიდგინეთ ... რედ ... ისე დაუწევიათ ყველაფრისთვის ფასები რომ ვინც არ შევა შიგ გრემისხევში და გამოკითხავს მცხოვრებთ ისეთ დაიჯერებს, აი მაგალითად: კოდი პური ორი თუმანი, კოდი ქერი ერთი თუმანი, მუდლში ორი მანეთი, მოკლული ჰინდაური ცხვარი ერთი თუმანი, ერთი გირ. ყველი ორი აბაზი, კარაქი ორი აბაზი, ჩარექი არაყი ათი შაური, ქათამი 1 მ, წყვილი კვერცხი ერთი შაური, ინდაური სამი ... გამომცხვარი ერთი პური სამი შაური, ცხვრის ხორცი ერთი გირ. ერთი აბაზი და სხვ.

ეს წესი შემოღებულია არა ვისიმე ძალდატანებით, არამედ მთელი სოფლის სურვილ-ნებით. ნაკლებ მეზობლებს ... ჩვენ ახლავე შეიძინონ პური თუ სხვა სანოვაგე .. უცხოს, რა თქმა უნდა არ ფერს მიჰყიდიან, თუ მათ ასეთსავე დაწესებულ ფასებში არ შემოუტანეს სხვა ჭირო საქონელი.

თუ სოფელ ქალაქებმაც მოგვბაძა მაშინ კისერს მოვტეხთ ტიალ სიძვირეს და იოლად გავატარებთ ცხოვრებასაო—ამბობენ გრემის ხეველები.

ნავახშევს გაიხსნა კრება. დაესწრო გრემის ხევის, ტონჩის, ქარქუშაანთ ...რის და არბიეთის მცხოვრებნი.

ორი უკანასკნელი სოფელი ოსებისა და იქიდან უფრო მეტი ჩამოვიდა, თუმცა იგინი უფრო მოშორებით სცხოვრობენ.

ჩვენ და ქართველებს თავის დღეში არა გვქონია რა სადაო, მუდამ მეგობრულად ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ ახლა არ ვიცით რას შეგვიჩნდენ ... რად უნდათ ჩვენი ერთმანეთის გადაკიდება—მითხრა რამდენიმემ და ნაღვლიანად ამოიოხრა.

ქართველებს რომ კიდეც ჩამოვშორდეთ, ვის უნდა შეუერთდეთ?.. ყველანი ნახევრად ქართველები ვართ... ნათესაობა და ზედ-სიძედ შესვლა ჩვენში ხშირია და, იმედია, შემდეგშიაც ასე დარჩება...

კავკაველი ოსებისა ნახევრად არა გვეგება რა... დაგვცინიან ხოლმე კიდეც ვაცა, რომ მათ საიმისოდ არა ვგევართ.

გრემის ხევში ერთი სკოლა ჰქონიათ მაგრამ ოსები ვერა ჰსარგებლობენ, ისე არიან დაშორებულნი.

კრებას ბევრი ქართველი გლეხი არ დასწრებია.

— სულ არდასაცალებელ დედაკაცების ბრალია. მოჰკრავენ თუ არა თვალ უცხო ვინმეს,—მაშინვე ერთი წიოკობა შეუდგებათ, გამოიგონებენ ათას ჭორს და კაცებსაც გულებს უხეთქენო.

ღმერთმა შეგვაძლებინოთ ეს ხალხის მორჯულება... მაგათ ჯერ ისევ დღის ჩიჩინი ეჭირვებათო—მითხრა ძველმა ასის თავად ნამყოფმა ალექსი პაპუაშვილმა.

როცა მიწის საკითხი გავაცანი—ხალხმა გამოსთქვა სურვილი, რომ ჩამორთმეული მიწები სოფელს უსასყიდლოდ გადაეცეს. ფასების გადახდა რომ შემძლებოდა, ხომ წინეთაც შევიძენდით მიწებსაო. თუ ერობას ფული დასჭირდება სოფლების საჭიროებისთვის, მაშინ საგანგებო ხარჯი გაგვაწეროს, ოღონდ მიწებს ნურაფერ ფასს ნუ დაადებსო.

25 ივლ. საშინელ ტრაგედიას განიცდის, როგორც ჩვენი მთავრობა ისე შეუგნებელი გლეხ-კაცობა, თუ პირველის მოვალეობაა მკაცრი ზომები მიიღოს ყველა მათ წინაალმდეგ, ვინც ნებით თუ უნებლიეთ ძირს უთხრის დემოკრ. რესპ. დამოუკიდებლობას—გლეხობა შავ რაზმელებისაგან მოტყუებული ზის საბრალმდებლო სკამზე და ელის სასჯელს.

ციხეში რომ მარტო მოსისხლე, შეგნებული მტრები მეგულებოდენ, ახლოსაც არ გავუვლიდი, მაგრამ შიგ არიან გამომწყვდეულნი ჩვენი ბეჩავი გლეხები და ამიტომ 23 ივლისს წავყევი დ. ხართიშვილს მათ სანახავათ.

დუშეთის ციხეს ჰყარაულობენ გვარდიელები. თვითეული მათი მოქცევა-მოპყრობა ტუსაღებისადმი გეუბნებათ, რომ გვარდიელებს შეგნებული აქვთ თავიანთი მოვალეობა: რათა იყვენ ჭეშმარიტი დამცველი რევოლუციის ნაანდერძევი კაცთა უფლებებისა და არ ჩაიდინონ რევოლუციონერისათვის სათაკილო შეურაცხყოფა. გვარდიელებს შეგნებული აქვთ ესა და ადამიანურათ ექცევიან ტუსაღებს.

26 ივლისი. მრავლის უმრავლესი მტერი ჰყავს ქართველს დემოკრატიას—შინაურებშიაც და გარეულებშიც, მაგრამ არც ერთი ისეთი საშინელი და თავზარ-დამცემი, არ არის, როგორც ჩვენი ხალხის შეუგნებლობა.

შევდივარ ჩვენ სოფლებში და თმე ყალყზე მიდგება.

რატომ ეგრე დაჯაბნებულა და დაგლახაკებულა, რომ ველარ გაურჩევია თავისუფლება მონობისაგან, სინათლე სიბნელისაგან, სიკეთე სიბოროტისაგან? გვეუბნებიან: არ გვინდა თქვენი მენშევიკობა, არც ბალშევიკობა. ...

...ზე მეტია, რაც გზა-კვალს გვიჩნევთ. ...ყო რამდენიც ვბრიყვდებოდით, ახლა ...ავის შეუერთდებით ან რა საჭიროა, ...ებით ჩვენთვის და ვიცხოვრებთ რო-...მე. რა ენაღვლება თქვენს მთავრო-... და გვარდიას. ჯამაგირი კარგი აქვთ ...მოსვენება. მე შენ გითხრა ჩვენსავით ...ნ წყვეტაში არიან...

...ელი საათობით ელაპარაკები ეზნის— ...ურტის გლეხებს, ურკვევ ყოველგვარს ...ხვას, ხმა გეხლანწება ლაპარაკით— ...ხები კი მაინც თავისას გაიძახიან: ...— რა ვიცით, რომელი ხართ მართა-... ბოლშევიკებიც ეგრე გველაპარაკე-...ბნენ, ვინ მოგვცა მათი გამორკვევის ...ნი.

დ. თურდოსპირელი.

# საჩხერეში

...ოფ. პერევში. ჩვენი ჯარების პერევში ...ვლის შემდეგ ხალხმა შემოსვლა იწყო ...ველში. იარაღი მოიტანეს. ახალგაზ-...ბი დაბრუნდნენ.

პერევში შესვლით საჩხერეს ამბოხება ...მთავრებულად ჩაითვალა და ჩვენ მი-...ექით წითელ მეწყერის და ხიხათის ...ის ხეობებს.

პერევი ჭალის შემდეგ ცენტრია, რო-...საც გარს ერტყია პატარ პატარა ...ფლები ოს-ქართველებისა და საზღვა-...ა იმერეთ ქართლისა.

პერევის სოფლები მდიდარია ტყეე-...ით, ყველით, რძით. პერევის სოფლები ...ხვია სიმინდით, ქერით, პურით. ...ინო სრულიად არ მოდის.

სოფლებში შენობები ამტკიცებს, ხალ-...ქეთის პირობებშია, ვიდრე ბარში. ...რევში ხიხათის მთის ძირას მჟავე ...წყლების აბანოებია, რომელიც უხდება ...წყლებს, განსაკუთრებით ქარებით ...ავადმყოფებულებს. პერევის მთა გრ-...ანი ადგილები ნაკლებ მოსავალს იძ-...ევა, ამიტომ სოფლელნი ბარში მიდიან ...ნებში სამუშაოთ.

ჭალის შემდეგ 9 სოფელია ქართლის ...საზღვრებამდე და არც ერთი შკოლა ...რ არის, ხალხში სიბნელე და უმეცრება ...ფობს, ზოგან ძველი ზნე-ჩვეულებაც ...არჩენილია. მიწების მხრივ ხალხი შე-...წროვებულია. ზოგს ნახევარი ქცევა ...ქვს, ზოგს 3—4 ქცევამდე, არიან მცი-...ე რიცხვიც, რომელთაც მოეპოვებათ 20 ...ცევამდის. ტყეებს კი საერთოდ სარ-...გებლობენ. პერევის მხარეში ოსები ქარ-...თველებთან შედარებით უფრო ფხიზელი ...ხალხია, უფრო სალათ მსჯელობენ, აზ-...როვნობენ.

მიმდინარე ამბების ადგილობრივ ხალხს ...ვერი არ ესმის. გაიგეს ის, ...რაც პროვოკატორებმა უთხრა და რა-...ც ქვევით აღვნიშნავ. პერევში ხალ-...ი არ იღებულობდა „ბონებს", არც კი ...იცოდენ ახალი მთავრობა საქართველო-...ი, რა მთავრობა იყო.

მშვენიერ მთების კალთებზე გაშენე-...ბულ სოფლებში სრული წყვდიადი მე-...ფობს. ბნელი ძალები თარეშობს.

საჩხერეს რაიონში დიდი ძალი ინტე-...ლიგენციაა, იმავე რაიონში უმეცრება ...ბატონობს, მომავალი, მოზარდი თაობაც ...უპატრონოთ ყოფილა.

ჩვენებურ მოხეტიალე ინტელიგენციას ...ხალხის არაფერი ესმის და ხალხს ინ-...ტელიგენციის. მათ შორის არავითარი ...კავშირი არ ყოფილა, არავითარი ნა-...თესაობა.

ეს „მოღვაწეობა" ინტელიგენციის ...დევ დააფასოს მომავალმა.

პერევში ბევრი რამ გამოირკვა, გზა ...და გზა ნახული და ჩვენს წინ თავ მო-...ყრილი ფაქტები საშინელების მომ-...თხრობია. დამაფიქრებელ-დამაღონებე-...ლია, პერევში დასკვნას ვღებულობთ: ...ოსები, ქართველები ყველა ადასტურებს ...თუ რა საზოგადოებრივ გახრწნილებამ-...დე მისულა მოწ ნაღმდეგეთა პოლიტი-...კური ღრებულება, მოწინააღმდეგეთა ...ზნეობრივი დაცემა.

რაშია საქმე? რა ნაირია ფაქტები? ...რას გვეუბნება სინამდვილე?

ვილაპარაკოთ ტიტველი ფაქტები. ...საჩხერეს რაიონში მოძრაობა იწყება ...ცხინვალის ამბოხებიდან, აი რას სწერდა ...პერევის გლეხობას ცხინვალის აჯანყე-...ბის დროს „ცხინვალის ამბოხების კომი-...ტეტი", „თავად-აზნაურთა გვარდია ...ტფილისიდან შემოგვესია, საქართველოს ...ანადგურებენ, სოფლებს იკლებენ, კა-...ცებს კლავენ, ქალები ხიშტებზე ააგეს, ...ბავშვები აკვანში ჩაკლეს. თუ კაცები ...ხართ და ქუდი გხურავთ გვიშველეთ, ...დაგვეხმარეთ. კაცებმა წამოდით" და ...სხვა.

სოფლები მაშინ არ აყვნენ ამ მოწო-...დებას, მხოლოდ ამბის გასაგებათ ორი ...კაცი გაგზავნეს ქართლში. ჩიხიდან, კორ-...ბეულიდან, ჭალიდან, ქორეთიდან პერე-...ვის ხალხს ატყობინებდენ გაგზავნილი ...შიკრიკები, რომ მოდის მთავრობის ჯა-...რი და გვარდია, სწვავენ სოფლებს, ...იტაცებენ ყველაფერს და მოჰკლენ ორ-...სული ქალები და ფეხზე დადექითო. ...ჯავის ხეობიდან კი აცნობებდენ აღნიშ-...ნულ საზოგადოებებს; მთავრობამ გვი-...ღალატა, უნდა მოვსპოთ, იარაღით ხელ-...ში მოემზადეთო.

ოსებს უხსნიდენ: საქართველოს მთავ-...რობამ გადასწყვიტა 12 წლის ზევით ...უნდა დახოცონ ყველა ოსები და მცი-...რეწლოვანნი დაიმორჩილებენ შემდეგო.

გეგეჭკორი დააყენეს ფულების საჭრე-...ლათ, სჭრიან ყალბ ფულს, მოისყიდეს ...გვარდია, ჯარი, აძლევენ დღეში თითოს ...50 მანეთს და უნდებიან ხალხი ჩააგ-...დონ ბატონ ყმობაში.

სოფლებში დადიოდენ „პროპაგანდი-...სტები", რომელთაც დაყობოდენ დეზერ-...ტირები და ხალხს მოუთხრობდენ არ-...ჩეულ ...ცებმა № 1-მა თუ როგორ მო-...ატყუა ხალხი, მთავრობამ როგორ უღა-...ლატა. მიწებს მიცემის მაგიერ ართმე-...ვენ და აუწყებდენ: ჩვენ შევადგინეთ ...შტაბი ვლადიკავკაზში, დუშეთში, ჯავა-...ში, ქართლში, ლეჩხუმში, რაჭაში, სა-...მეგრელოში, რომ დავატყვეოთ მო-...ღალატე კომიტეტები, კომისრები, ...მეთაურები, მინისტრები და გავაგ-...ზავნოთ ვლადიკავკაზში. დავხოცოთ ...ბურჟუები, მემამულეები და რუსეთში ...შემოღებული სანატრელი ცხოვრება უნ-...და შემოვიღოთო. ეუბნებოდენ აჯანყე-...ბის პლანებს და აიმედებდენ ხალხს: ...ვლადიკავკაზიდან მოგვივა ჯარი, ზარ-...ბაზნები, ტყვიები, თოფები. მოითხოვ-...დენ ხალხიდან დახმარებას და აგრო-...ვებდენ ფულებს.

უცხო „აგიტატორების" სახელს და ...გვარს ხალხი ვერ ასახელებს. პასუხათ ...ამბობენ,—არ ვიცითო, მოგვატყუეს და ...წავიდენო.

ადგილობრივს ასახელებენ, რომელიც ...მათ დაყობოდა,

ერთი ამათგანი ყოფილა ტერენტი ...კვამლაძე, უნტერ-აფიცერი და ბათუმის ...ჯარში ცნობილი აფერისტი, რომელიც ...ჯარს მოუწოდებდა, როგორც „ბოლშე-...ვიკი" არ წასულიყვნენ ფრონტზე. ეხლა ...ეს კვამლაძე გაქცეულია, ასეთივე ტიპე-...ბი ყოფილა დეზერტირი მეცხვარიაშვი-...ლი, რომელიც დაჭერილია, მაჭარაშვი-...ლი, ზეინკლიშვილი, სამხარაძე და სხვა-...დასხვა, რომელთაგან ბევრი ბრძოლაში ...იქნა მოკლული.

გადაღმა ქართლიდან ე. ი. ჯავის ხეო-...ბიდან კი მეთაურობდენ შეიარაღებულ ...ბრბოებს პორუჩიკი ხარებოვი, პორ. კ. ...ჯიჯიშვილი, პორ. დ. ხოგაშვილი, და ...სხვები, რომელთა გვარები არ იციან.

კმარა. აქ გაგრძელება მეტია. ყველა-...ფერის აღნიშვნა შორს წაგვიყვანს. ნათ-...ქვამი აშკარათ ამტკიცებს, რომ ეს დიდი ...ქარიშხალი ანარქიისა ფართე ქსელებით ...არის გადახლართული მთელ კუთხეებთან ...და „ბოლშევიკური" ტალღებით ჩანთქმას ...უქადის ჩვენს ქვეყანას. ეს მოძრაობა ...„ბოლშევიკური", კონტრ-რევოლიუციო-...ნური, ანარქიული, რომლის ირგვლივ ...გაერთიანდა შავრაზმელი მემამულე, ყო-...ფილი ჩინოვნიკები, ავარა მღვდლები, ...გახულიგანებული აფიცრები, ბრძოლის ...ველიდან გამოქცეული დეზერტირები, ...ყაჩაღები, და ყველა ხალხის მტრები: ...ჩამორჩენილი კუთხეები რეაქციის ბუ-...დეა, და ამათი მოძრაობა გადავიდა ...სოფლებში, და ყრუ სოფლები „ბოლშე-...ვიკ ბანდელთა" ბაზათ გიდიქცა.

ამას გვეუბნება სინამდვილე, ასეთია ...მომხდარი ამბების ლოღიკური დასკვნა.

ბრძოლა „ბოლშევიკურ" ანარქიასთან, ...არის ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ.

ამ მოძრაობაში მონაწილეობას ღებს, ...ქართველი, რუსი, სომეხი, ოსი და ყვე-...ლა. ორი მიმდინარეობა რეაქციონური ...და ანარქისტული დროებით ერთი მეო-...რეშია გადადუღებული, მათი მიზანია ...ჩვენი რესპუბლიკის დანგრევა.

ეს ამოძრავება არ შეიძლება გადავი-...ტანოთ, რომელიმე ერზე, რომელიმე ...ტომზე.

ამ ამბოხების დროს დაზარალდენ თა-...ვად-აზნაურობასთან ერთად გლეხობა, ...ქართველებთან ერთად ოსებიც. საერთო ...უბედურება ყველას ეწვია.

ჩვენ აქ აღვნიშნავთ ერთ ფაქტს. ჩვენ ...დღეს შემთხვევით ჩაგვივარდა „საქ. ...რესპუბ." და გადვიკითხეთ ვეშაპელის ...შეკითხვა.

მღვდელ ზამბახიძემ (უეჭველია ეცო-...დინება ბ. ვეშაპელს), რომელიც ჭალის ...ოსებიდან დელეგაციაში იყო, კაპ. იზხ-...ნელს აცნობა, რომ ჭალაში მოწინა-...აღმდეგეთა ძალა 20 ათასამდე არისო.

მხოლოდ ჭალის ბრბოს შტაბს მიუ-...ტანა ამბავი საჩხერეში მთავრობის ჯარი ...გასაქცევათ მზათ არისო.

1—2 აგვისტოს პერევისში ჩვენთან ...იყო გადმოღმა ოსთა სოფლების დელე-...გატები. მათ მოისმინეს მოხსენება სა-...ქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ...დღევანდელ მოქმედებაზე და მომავალ ...პროგრამაზე მათ განაცხადეს, ჩვენ მზათ ...ვართ დავიცვათ მთავრობა, გავიდეთ ...ჯარში, ჩვენ გვიცხოვრია ქართველებ-...თან და სიკვდილიც ქართველებთან ...გვირჩევნიაო.

მათ შემოგვჩივლეს, გვაწუხებენ ჩვენი ...ყაჩაღები, ქართლიდან გადმოსული ბრბო-...ები, თქვენი სოფლებიდან გამოქცეულები.

ჩვენ გვინდა მშვიდობიანობა და შრომა. ...ყანები გვეღუპება. დაგვარბიეს, დაგვტა-...ცეს ყველაფერი, არაფერი არ შეგვარ-...ჩინეს ბრბოებმა. ისიც უნდა იცოდეთ, ...თუ თქვენ ჯავის ხეობისაკენ წახვალთ, ...ჩვენ დაგეხმარებით.

საჩხერეს ამბებას ძირითადი მიზეზები ...მოკლეთ აღვნიშნე.

ქართველ მახარაძე—ცინცაძე—ყაჩაღ ...კვამლაძეებთან ერთად ხარებოვ ჯიჯი-...შვილები თავიანთ მოღალატურ „მოღვა-...წეობას" ეწევიან და მათთან არის ...მარჯვნიდან შავი ლაშქარი და ამას ნუ ...დაივიწყებენ...

ახლა დავუბრუნდეთ ისევ მიმდინარე ...ამბებს.

26 ივლისიდან 4 აგვისტომდე. პერე-...ვის ირგვლივ მთებში და თვით პერევში ...დაბანაკდა ჩვენი ნაწილები. სოფლებში ...კრებები გაიმართა. ხალხი გაეცნო საქ-...მის სინამდვილეს. ჯერჯერობით გამო-...ურკვეველია, თუ რამდენი დაჰკარგა მო-...წინააღმდეგემ. ბრძოლაში ჩვენ, და ყვე-...ლა ნაწილები აწყდებოდა დახოცილებს, ...აქა-იქ ქუჩებზე, ქვებზე და მთებში სისხ-...ლით მორწყულ მიდამოებს. ახალ გათხ-...რილი საფლავებიც ხშირია მინდორ-...ველებში. აღებულ ადგილებში სოფ-...ლელნი მოგვითხრობენ, რომ დაჭ-...რილ-დახოცილები ვისაც კი მოასწრო-...ბდენ თან მიქონდათო. ბრძოლის დროს ...დაიხოცა მშვიდობიანი მცხოვრებ-...ნიც, მათ შორის ქალიც და ბავშვიც. ...ზოგიერთ ხეობებში მოწინააღმდეგეთა ...ჯგუფები სრულიად განადგურდა. ზო-...გიერთ ყრუ ადგილებში ადამიანთა გვა-...მების ცუდ სუნს ვგრძნობდით. ჩვენს ...მხრიდანაც ზარალი საგრძნობელია. ზო-...გიერთებს რა ბედი ეწვია არც ვიცით. ...პერევის აღების შემდეგ გადარჩენილმა ...ბრბოებმა გადაიარეს სხვადასხვა მხარე-...ებში, მათ გაჰყვა საჩხერეს რაიონის „ბოლ-...შევიკთა ბანდები". დარჩენილი ყაჩაღები ...პარტიზანულ თავდასხმას აწარმოებს. 30 ...ივლისს მოჰკლეს ჯვრიაში რაზმელი სა-...დარაჯოზე. 31 ივლისს, ღამით დასჭრეს ...მზვერავი გამყრელიძის რაზმისა. 2 აგ-...ვისტოს კი დასჭრეს პერევში მიმავალი ...კავალერისტი.

სხვა მხრივ არაფერი არ მომხდარა. ...ახალ-გაზრდები ჯარში ცხადდებიან.

ან. ხ.

# მასწავლებელთა კურსებზე

პირველ აგვისტოდან დაწყებულ საშუა-...ლო სასწავლებელთა მასწავლებლების ...კურსებზე მისასალმებელი სიტყვა წარ-...მოსთქვა განათლების მინისტრმა გ. ლას-...ხიშვილმა, რომლის ნალაპარაკევი მთე-...ლი უეჭველის კონსპექტიურ სამოქმედო ...პროგრამას წარმოადგენდა. ჩვენი სკო-...ლის სრული გაეროვნება,—სთქვა მინის-...ტრმა,—ერთისა და ორის წლის საქმე ...როდია, ამაზე დიდი ხნის მუშაობა იქ-...ნება საჭირო, რაც უნდა გამოიხატოს ...არსებული პროგრამის ძირითად გადა-...მუშავებაში და შკოლაში ქართულად აზ-...როვნების შეტანაში. ჯერ ჯერობით კი ...რათა მოზარდი თაობის ნორჩი სული ...და გული არ დამახინჯდეს ნაუცბათევის ...ცვლილებით, უნდა ვეცადოთ, რომ ...თანდათან მივუახლოვდეთ ამ საბოლოო ...მიზანს არსებული პროგრამის შეკეთება— ...გადმოქართულებით, ახალი ენების გაძ-...ლიერებით, შკოლის ტიპის შეცვლით და ...და სხვ. მეორე სიტყვა წარმოსთქვა კურ-...სების ხელმძღვანელმა ივ. ჯავახიშვილმა, ...რომელმაც მინისტრთან ერთად სხვათა ...შორის აღნიშნა ჩვენი მეცნიერული ტერ-...მინოლოგიის სიღარიბე და თან იმედი ...გამოსთქვა, რომ ყოველგვარ დაბრკო-...ლებას ვძლევთ, ვინაიდან საამისოდ შე-...საფერი უკვე მასალა მოგვეპოვება მე 18-ე ...საუკუნეში ჩვენ წინაპართა მიერ დამზა-...დებულიო. ჯავახიშვილის შემდეგ პირ-...ველი ლექცია წაიკითხა ბ. ახვლედიანმა ...(ენათ მეცნიერება).

კურსების გეგმა ასეთია: 19 აგვის-...ტომდე წაკითხულ იქნება ყველასათვის ...სავალდებულო საზოგადო კურსი (ფსიქო-...ლოგია, ენათ მეცნიერება, ძველი და ახა-...ლი ქართული ლიტერატურა), რომელ-...შიაც არ ვიცი რათ გამოტოვებულია ის-...ტორია, შემდეგ დაიწყება სპეციალიზა-...ცია სხვადასხვა საგნებში, ლექტორებად ...მოწვეულნი არიან ბ.ბ. ჯავახიშვილი, ...გომართელი, უზნაძე, ახვლედიანი და სხვ. ...მეცადინეობა იწყება დილის 9 საათ. და ...სრულდება ორზე.

# თფილისის ანტისანიტარულ მდგომარეობა

...სანიტარული, რომელშიაც ეხლა ...თბილისი სცურავს, სჭარბობს ყო-...ველივე წარმოდგენას ანტისანიტარული ...მდგომარეობაზე, ამ მხრით თბილისი თან ...და თან ემგვანება აზიურ ქალაქს: მუ-...კდენის, ლიაოიანის და ხარბინის გა-...ნაპირა ქუჩებში შევხვედრივარ ისეთ ...სურათებს, როგორისაც დღეს თფილისში ...ვარ მოწამე. გული გიკვდება, როცა ხე-...დავ ჩვენს აგრე დაქვეითებას.

განსაკუთრებით შეუწყნარებელია მდგო-...მარეობა ვაგზლის რაიონში. აქ ყოველ-...ნაირი სანოვაგე პირდაპირ მიწაზე ყრია ...ტვერში და ისვრებიან ბუზების შემწეო-...ბით ხოლერის და სხვა მიკრობებით. რომ ...საქმე ძნელი მოსაგვარებელი იყოს, მაშინ ...არაფერს ვიტყოდი. მარა თუ მოინ-...დომებს ვინმე ადმინისტრატიული პი-...რი ბევრ რამეს გააკეთებს ამ მხრით.

აპ. ურუშაძის დანიშვნა თბილისის ...მილიციის უფროსათ იმედს მაძლევს, ...რომ ეს საქმე მოშორდება მკვდარ წერ-...ტილს. ეს ჩემი იმედი დამყარებულია სა-...კუთარ დაკვირვებაზე, როცა ამხ. ა. ...ურუშაძე რევოლიუციის დროს იყო პე-...ტროგრადში პეტროგრადის მხრის კო-...მენდანტათ.

უპირველესად ყოვლისა, ჩემის აზრით ...საჭიროა, რომ მოეწყოს ყველა უბნებში ...სასანიტარო საბჭოები, სადაც შევლენ ...შემდეგი დაწესებულებათა წარმომადგე-...ნელნი: სამოქალაქო კომიტეტის, სასურ-...სათო კომიტეტის, ფაბრიკა-ქარხნების, ...სავადმყოფო კასების, წითელი გვარ-...დიის და სხვა დაწესებულებათა თუ ისი-...ნი მოისურვებენ სანიტარიაზე ზრუნვას. ...როგორც აუცილებელი წევრნი ამ საბ-...ჭოში შედიან სანიტარული და ეპიდე-...მიური ექიმები თავიანთი თანაშემწეე-...ბით. ამ სანიტარულ საბჭოს მჭიდრო ...კავშირი აქვს ქალაქის ცენტრალურ სა-...სანიტარო საბჭოსთან.

სანიტარულ ზომების ცხოვრებაში გა-...სტარებლათ საჭიროა: 1) ყველა უბნებ-...ში უნდა დაინიშნოს საკმაო რიცხვი სა-...ნიტარულ მზრუნველებისა. მათი მოვა-...ლეობა იქნება ექიმს დაეხმარონ, რომ ...მან შესძლოს სანიტარული ზომების ...ცხოვრებაში გატარება.

სანიტარულ მზრუნველებს ირჩევს უბ-...ნის სასანიტარო საბჭო ადგილობრივი ...მოქალაქეებიდან.

2) ყოველ უბანში სასანიტარო ექიმის ...განკარგულებაში უნდა იყოს მილიციო-...ნერების საკმაო რიცხვი.

3) სასანიტარო ექიმი მილიციონერე-...ბის და სასანიტარო მზრუნველების თან-...ხლებით მუდამ დღე უნდა ათვალიერებ-...დეს თავის უბანს და ღებულობდეს შე-...საფერ ზომებს შენიშნული უკანონობის ...წინააღმდეგ.

4) უბნის ანტისანიტარული მდგომარე-...ობის გამო პასუხი უნდა აგონ სან. ექი-...მებმა და მზრუნველებმა. 5) მილიციის ...უფროსს უნდა დაევალოს, რომ მან სას-...ტიკი თვალყური ადევნოს ზემოაღნიშ-...ნულ პოლიციური ზომების ცხოვრებაში ...გატარებას. 6) სანიტარული სავალდე-...ბულო დადგენილებანი გაკრული უნდა ...იქნეს ყველგან საზოგადოების საყურა-...დღებოთ.

ზომები მარტივი და ადვილათ ასას-...რულებელია, მხოლოდ საჭიროა ზევიდან ...ყურადღების მიქცევა.

ექ. ნ. რუხაძე.

# დაშნაკელების „მოღვაწეობის" ერთი ნიმუშთაგანი

(წერილი სურამიდან).

სურამის ქალაქის თვითმართველობაში ...დაშნაკცუთუნის ფრაქცია შესდგება ხუთი ...კაცისაგან: ცნობილი ტერ იოსეფ არუ-...წოვი, ექიმი ადიბეკიანი, მასწავლებელი ...ტერ გრიგორიანი, ვაჭარი ვასილი ჩა-...რექიანცი და პოლიტიკური ქამელეონი: ...დღეს კადეტი, ხვალ უპარტიო და ზეგ ...ან როცა დასჭირდება, დაშნაკცაკანი— ...ნოტარიუსი სედრაკ კეჯეჯანი. სანამ ამ ...უკანასკნელის წერილს შევეხებოდე არ-...სებითად, გაზეთ „კავკ. სლოვოს" მე 152 ...ნომერში მოთავსებულს, რომლითაც ის ...„ერთობას" შოვინისტურ ხასიათის წე-...რილის დაბეჭდვას უსაყვედურებს, უნდა ...აღვნიშნო ამ ფრაქციის მოღვაწეობა ქა-...ლაქის საბჭოში და საბჭოს გარედ ...ლტოლვილთა შესახებ. საქმე იმაში გახ-...ლავთ, რომ ეს ფრაქცია საბჭოში მონა-...წილეობას ღებს საბჭოს დადგენილებებ-...ში და საბჭოს გარეთ კი საქალაქო საქმეში ...დამოუკიდებლად მუშაობს და სხვადა-...სხვაგვარ ხრიკებს და მახინაციებს აჭახ-...რაკებს. ჯერ კიდევ, როცა ყარსიდან და ...არდაგანიდან მოაწყდა სურამს ლტოლ-...ვილნი ბერძნები და სომხები, საბჭომ ...დაადგინა შეჩერებულ იქნას დენა სუ-...რამში, რადგანაც ამან გამოიწვია სურსა-...თის გაძვირება და გადამდები ავადმყო-...ფობანი, ამისათვის საბჭომ ერთხმად გა-...მოიტანა დადგენილება აღარ შემოუშვას ...ქალაქში ზედმეტი ლტოლვილნი და ეს ...გამოცხადდეს გაზეთებში, მაგრამ ახალ-...ციხის და ახალქალაქის ოსმალეთის ხელ-...ში გადასვლამ ხომ ლტოლვილთა დენა ...სურამ-ხაშურის რაიონისკენ კიდევ უფ-...რო გააძლიერა. ქალაქი ჩავარდა საფრ-...თხეში: ერთის მხრით გავრცელდა სახა-...დი (сыпной тифъ) და სხვა ავადმყო-...ფობანი, მეორე მხრით გაჩნდა სურსა-...თის დიდი კრიზისი. ამ დროს არსდება ...ქალაქში ლტოლვილთა კომიტეტი, რო-...მელმაც უნდა მოაწესრიგოს გადმოხვე-...წილთა საკითხი განურჩევლად ეროვნე-...ბისა. ექიმი ადიბეკიანი აცხადებს, რომ ...სომხებს უკვე აქვს თავიანთი, (მხოლოდ ...სომხებისათვის) ლტოლვილთა კომიტე-...ტიო. გასაოცარია მაინც ის გარემოება, ...რომ ლტოლვილნი თითქმის ყველა სო-...მეხია და ქართველები არა სჩანს, თუმ-...ცა-ღა ახალქალაქის და ახალციხის მაზ-...რებში არც ქართველებს ეპყრობოდენ ...ლმობიერათ. საკმაო რიცხვს გადმოხვე-...წილთა შეადგენენ აგრეთვე ქართველი ...ებრაელები ზემოხსენებულ ორ მაზრი-...დან. ლტოლვილნი მოედვნენ ქალაქს ...და სოფლებს, გაჩაღდა ჩარჩობა, სპე-...კულიაცია, ჯერ მოუმკელ პურ-...ზე ასწიეს ფასი და თითონ შეუდგენ ...ყიდვა-გაყიდვას. სოფლებიდან გააქვთ ...პური დედაკაცებს და ბავშვებს მათხოვ-...რობით, მამაკაცებ ფასების აწევით. რო-...გორც გვიამბობენ, ქემფერის და სხვა ...სოფლების გლეხები თითო კალოზე ათი ...თხუთმეტი ლტოლვილნი არიან შემო-...სეულნი, და თანაც აგიტაციას ეწევიან ...ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ და თანაც ...პურს ეზიდებიან ბაზარზე. გაწყდა პური ...—გლეხებს აღარ შემოაქვთ, ან რათ შე-...მოიტანონ, როცა ადგილობრივ ზღაპ-...რულ ფასებში ჰყიდიან! და აი ამ დროს, ...დაშნაკცაკანის ფრაქციის წარმომადგე-...ნელნი, საბჭოს წინააღმდეგ და დაუკით-...ხავად ცდილობენ მოათავსონ სურამში ...კიდევ ხუთასი ბავშვი-ობლები ლტოლ-...ვილნი ქ. ახალქალაქიდან ამისათვის ქა-...ლაქის დაუკითხავად ქირაობენ სახლებს ...და ატყობინებენ ბაკურიანში და სხვაგან ...დეპეშით: სახლი მზათა გვაქვს, შეგვატ-...ყობინე, როდის გამოგზავნითო. როდე-...საც საბჭოში ხმოსნები შეეკითხენ მათ, ...რატომ ქალაქის თვითმართველობას არა-...ფერს ეკითხებით და ისე იწვევთ ქალაქ-...ში კიდევ ლტოლვილთო, ბ ნი კეჯეჯანი, ...ადიბეკიანი და სხვები უპასუხებენ, რომ ...ისინი ამას სჩადიან, როგორც კერძო ...პირნი ან როგორც წევრნი სომხურ სა-...ქველ-მოქმედო საზოგადოებისა და არა ...როგორც ქალაქის ხმოსნებიო.

მაგრამ მიუხედავათ ამისა ბაკურიანის ...ლტოლვილთა კომიტეტი ატყობინებს ...ქალაქის თვითმართველობას: განზრახვა ...აქვთ გამოგზავნონ სურამში ხუთასი ...ლტოლვილნი—ბავშვები ზ საწინააღმდეგო ...ამის ქალაქს აქვს თუ არა რამეო. ამაზე ...ქალაქი უპასუხებს: არამც და არამც არ ...გამოგზავნოთ, რადგანაც ქალაქი ისეთაც ...სავსეა ლტოლვილნით, რომელთა შორის ...სახადია გავრცელებული და სურსათის ...კრიზისია და მეტადრე საშიშია ეს ბავშ-...ვებისთვისო. ლტოლვილთა გამოგზავნა ...რამდენიმე დღით შეჩერდა. საბჭოს მო-...რიგ კრებაზე ხმოსნების საყვედურზე, თუ ...რათ ცდილობენ ხმოსნები დაშნაკცაკა-...ნები ქალაქის დაუკითხავად მოიწვიონ ...ლტოლვილნი, დაშნაკები ბოდიშს იხ-...დიან და იმეორებენ იმას, რაც ზევით ...აღვნიშნე და სთხოვენ ქალაქის თვით-...მართველობას ნება დართოს სოფელ ...იტრიაში, საცა მათ უქირავნიათ გენე-...რალ აკულოვის აგარაკი, მოათავსონ ...ორასი ლტოლვილი ბავშვები. ამაზე ქა-...ლაქი უპასუხებს: რადგან სოფელი იტ-...რია არ შემოდის ქალაქ სურამის ხაზში, ...ამისათვის ქალაქს არ შეუძლია ამის ნე-...ბის დართვა და წინადადებას აძლევს ...მიმართონ იტრიელებს. იტრიელები ...უარს ეუბნებიან. შემდეგ სურამის და ...ხაშურის ქალაქის თავი და სურამის საბ-...ჭოს თავმჯდომარე მიმართავენ მთავრო-...ბის წარმომადგენელს, შინაგან საქმეთა ...მინისტრის ამხ. გ. მახარაძეს და უხსნიან ...საქმის გარემოებას. მინისტრის ამხანაგი ...დეპეშით ატყობინებს ბორჯომ ბაკურია-...ნის ლტოლვილთა კომიტეტებს არ გა-...მოგზავნიან ხაშურ სურამის მიმართუ-...ლებით ლტოლვილნი. ამას გარდა ...—მინისტრის ამხანაგის დეპეშა ატ-...ყობინებდა ბორჯომ-ბაკურიანის ლტოლ-...ვილთა კომიტეტს — ხაშურ-სურამის ...ქალაქის თვითმართველობებს ნება ...ეძლევათ უკანვე დააბრუნონ ლტოლ-...ვილნი, ვინიცობაა ისინი მაინც მოვ-...ლენო. ამ დეპეშის ასლი (კოპიო) გაეგ-...ზავნა დაშნაკელებს. ამის შემდეგ დაშნა-...კელები მაინც მიემგზავრებიან თფი-...ლისში, მიდიან მთავრობის თავმჯდომა-...რესთან, სთხოვენ მას განკარგულება ...მოახდინონ, რათა სურამმა გაატაროს ...ლტოლვილნი ბავშვები სოფელ იტრიის-...კენ. და აი, მთავრობის თავმჯდომარე ...შემდეგ დეპეშას იძლევა: გიბძანებთ გა-...ატაროთ ლტოლვილი ობოლი ბავშვები ...იტრიაში. მთავრობის თავმჯდომარე ...ნ. ჟორდანია. რა თქმა უნდა მთავრო-...ბის განკარგულების წინააღმდეგი არა-...ვინ იყო, მაგრამ იტრიელებიც გულ-...ნაკლულნი იყვნენ, რადგანაც იმათაც ...არაფერი ჰკითხეს და ისე უხიზნავდენ ...იმათ ლტოლვილთ, სადაც ისედაც ბევრი ...იყვნენ ბერძენ სომხობა შეხიზნულნი. დაშ-...ნაკელები თხოულობდენ ორასი ბავშვის ...მოთავსებას, იტრიელები დათანხმდენ ...ასზე ქალაქის წარმომადგენლების დახ-...მარებით. შემდეგ ამისა „ირკვევა" აკუ-...ლოვის აგარაკი, რომელიც ვითომდა ...იქირავეს დაშნაკელებმა, დაკავებული ...თუ მიცემული ჰქონია მეათე ქართულ ...პოლკს... ამის შემდეგ დაფაცურდენ დაშ-...ნაკელები და ვითომდა იტრიაში გასაგ-...ზავნათ სურამში შემოიყვანეს ოფიცია-...ლურათ ასი ლტოლვილნი და ორას ორ-...მოცდა ათამდე კონდრაბანდათ, მიხ-...ვეულ-მოხვეულ ქუჩებით საჩქაროთ გა-...ატარეს და იქა-აქ მიჩქმალეს და ასი კი ...ვაგზლის ქუჩიდან დიდ ქუჩაზე ჩამოატა-...რეს და წაასხეს სომხების ნაწილში.

ამ გვარმა „ქურდულმა" საქციელმა ...დაშნაკელებისამ ძლიერ ააღელვა ხმოს-...ნები და საზოგადოთ ბევრი მოქალაქენი.

მეორე დღეს შესდგა საგანგებო კრება ...საბჭოსი, რომელზედაც სრულიად არ ...გამოცხადდა დაშნაკელების ფრაქცია.

ზოგიერთ პირთ მათ ფრაქციისას ...ცალკე გავუგზავნეთ კაცი, რომ უსა-...თუოდ მოსულიყვნენ საჭირო განმარტე-...ბისათვის, რადგანაც ამხ. ვ. მეტრეველის ...განცხადებით სადგურზე ცალკე ვაგონში ...24 სახადით ავათმყოფები არიანო და ...ისინიც იმათთან ერთად მოვიდნო. ამხ. ...ვ. მეტრეველი სადგურის უფროსის თა-...ნაშემწეა და იმ დღეს მორიგე ყოფილა, ...გავგზავნეთ მეორეთ ექიმ ადიბეკიანთან, ...იმ ადიბეკიანთან, რომელიც წინა კრე-...ბაზე გვარწმუნებდა ... ...ძლებელია ჩვენ ... ...ფები მოვიყვანოთ, ... ...კარანტინში იმყოფებიან და იქიდან ...ავათმყოფებს არ გამოუშვებენო, მაგრამ ...არ ისურვა მიბრძანება, უფრო კი დაი-...მალა – გაექცა პასუხისმგებლობას და არ ...მოვიდა კრებაზე. ამის შემდეგ აღელ-...ვებამ მთელი დაშნაკ. ფრაქცი-...ისადმი სასტიკი ხასიათი მიიღო და ...საბჭომ დაადგინა: გაკიცხვა გამოეცხა-...დოს დაშნაკცუთუნის ფრაქციას სურა-...მის საბჭოისას, რადგანაც იმათი საქ-...ციელი ლტოლვილთა საკითხში მაზარა-...ლებელია მთელი ქალაქისათვის. რა უყვეს ...შემდეგ იმ ავადმყოფებს ჩვენ არ ვიცით, ...რადგანაც სახადით ავადმყოფები რამდე-...ნიმე საათის შემდეგ სადღაც გაგზავნეს ...თუ მოათავსეს.

რას უწოდებთ ამგვარ საქციელს, თუ ...არ მართლა და ალვირ ახსნილ თავხედო-...ბას?! და ასეც უწოდა ჩვენმა ორგანო ...„ერთობამ" სომხის ნაციონალისტების, ...კერძოთ კი სურამის დაშნაკელების საქ-...ციელს, რაც სრულიად სამართიანია და ...სამართლიანადაც გაჰკიცხა ისინი სურა-...მის ქალაქის საბჭომაც. ამის შემდეგ გა-...მომდგარა ბ ნი კეჯეჯანი და საქვეყნოთ ...აცხადებს, რომ ვითომ მათ ჰქონდათ ...ნებართვა. თავშესაფარის გახსნისა სუ-...რამში და აგრეთვე ლტოლვილთა მო-...თავსების სურამში, რის დამამტკიცებ-...ლად მოჰყავს ბაკურიანის ლტოლვილთა ...კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელია-...ნი, რომელიც იწერება: „მთავრობის ნე-...ბართვით იგზავნება სურამში 305 სული ...ობლები—ლტოლვილნიო". ჯერ ერთი, ...იოსელიანი მთავრობა არ არის და მეო-...რე, როგორც იოსელიანი, ისე მთავრობა ...დაშნაკელებმა შეცდომაში შეიყვანა. ამას ...გარდა, თუ თქვენ თავშესაფარის გახსნის ...ნება-რთვა გქონდათ იტრიაში, რა-...ღათ ათავსებდით იმას სურამში და ისიც ...კონდრაბანდულათ. მაგრამ თქვენ კარ-...გათ იცით, რომ იტრიელებმა თქვენ ნე-...ბა დაგრთოთ, მხოლოდ ასი ბავშვების ...მოთავსებისა და არა სამას-ოთხასისა და ...რათ აგზავნიდით სასწრაფო დეპეშას ...ბაკურიანში—გამოგზავნეთ ყველა ბავ-...შვები და არა მხოლოდ ასიო, მაგრამ ...თქვენ საზოგადოთ ჩვეული ხართ ყო-...ველგვარ ფალსიფიკაციას: აზრისა, წე-...რისა, დადგენილებისა, განკარგულებისა. ...თქვენ თუ ერთის ნება მოგცეს, მეორე ...ზედ მიაყოლეთ კონდრაბანდათ, თუ ...მთავრობის თავმჯდომარემ ნება დაგრ-...თოთ იტრიაში, თქვენ იტრია სურამით ...შესცვალეთ და აქ იოსელიანის ქაღალდს ...იმოწმებთ და ვინ არის თავდები იმისი, ...რომ თქვენ იოსელიანსაც ყალბათ არ ...გააგებინეთ საქმის ვითარება! ეს თქვენ ...შეგეხებათ პირადათ იმდენათ, რამდენათ ...თქვენ დაშნაკცაკანების ფრაქციის წევ-...რი ხართ სურამის ქალაქის საბჭოში და ...მეტსაც ვიტყვი — რამდენათაც თქვენ ...„დაშნაკცუთიუნის" პარტიის წევრიც ...ხართ, მაგრამ თქვენ იმდენათ მოქნილი ...აზროვნებისა ხართ, რომ ადვილათ შე-...გიძლიათ უხერხულ მდგომარეობიდან თა-...ვი „იძროთ": როდესაც მე თქვენ, რო-...გორც თავმჯდომარე ქალაქის საბჭოსი, ...კრებაზე შეგეკითხეთ, თუ რათ შეიყვა-...ნეთ პრესა შეცდომაში, ვითომ თქვენ ...ნება რთვა გქონდათ სურამში მოგეთავ-...სებიათ ლტოლვილნი ბავშვები და მთავ-...რობის თავმჯდომარის დეპეშაც გაჩ-...ვენეთ და წინადადებაც მოგეცით პრე-...სისვე საშვალებით უარგეყოთ ეს, თქვენ ...ასე მიპასუხეთ: „Сардіонъ Бежановичъ, ...дорогой, я причемъ тутъ, я не дашнак-...цаканъ, я безпартійный, но я все же ...передамъ фракціи ваше требованіе ...послать опроверженіе"-ო. თქვენმა ამ-...გვარმა განცხადებამ ზოგში სიცილი და ...ზოგში აღშფოთება გამოიწვია, რადგანაც ...თქვენ დაგავიწყდათ (უფრო კი გინდო-...დათ თავი დაგეძროთ პასუხისმგებლო-...ბისაგან) ვისის წყალობით იჯექით საბ-...ჭოში ხმოსნათ...

რაც შეეხება თქვენს განცხადებას, ვი-...თომც ბავშვები ავათ არ ყოფილიყვნენ ...და ან არ არიან გადამდები ავათმყო-...ფობით, ეს თქვენ და ექიმ ადიბეკიან-...ცის სინდისს ეკითხოს, რომელმაც თქვენ ...gastro enteritsacuta (უბრალო ფაღარა-...თობა) გასწავლა და სახადი, (тифъ) მუ-...ცელა (дезинтерія) და სხვ. უბრალო ...ფაღარათობით მონათლა.

დასასრულ, რაც შეეხება თქვენს გან-...ცხადებას, რომ ქართველი ხალხი სურა-...მის და მისი რაიონის საზოგადოთ თა-...ნაგრძნობით ეპყრობა ლტოლვილთ, ამა-...ში ჩვენ რწმუნება რასაკვირველია, არ ...გვინდა: ეს ასე იყო მუდამ. ხოლო ჩვენ ...გვეშინია, რომ თქვენისთანების პოლი-...ტიკანობამ არ შექმნას (თუ ჯერ არ შე-...უქმნია) ქართველი ხალხის გულკეთილ-...ობის და მეზობლებთან კეთილ განწყ-...ობილების შეცვლა.

სურამის ქალაქ. საბჭოს თავმჯდომარე

სარდიონ ბეჟანის ძე მამალაძე

ქ. სურამი,

23 ივლისი, 1918 წელი.

...ყოველივე... თუ თოფელია და გათე... ...ღმერთ-...

...წვენ: დღევანდელ ფრიად გაწვავებულ...

...ელთ ვიგდეთ 4,381 ზარბაზანი, 9,490 ...ტყვიისმფრქვეველი, 750 ათასი ვინტოვ-...

# რკინის გზაზე

**რკინის გზის სასურსათო კომიტეტი.**

ამ სათაურით დაიბეჭდა ერთი პატარა შენიშვნა „ერთობის“ მე-157 ნომერში. წერილის ავტორი კრიტიკის თვალით არჩევს და აფასებს ამ სასურსათო კომიტეტებს.

მაგრამ მკითხველებს ყალბი ცნობები მიაწოდა. რკინის გზის სასურსათო კომიტეტებს დაუმსახურებელი ჩირქი მოსცხო.

მე თუმცა კომიტეტის წევრი არ ვარ, მაგრამ ვიცი საქმის გარემოება და მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს სიმართლე აღვადგინო.

როგორც ყველგან სასურსათო კომიტეტები, ისე რკინის გზაზეც ნაკლს ვერ ასცდენ. არც გასაკვირველია. ამ კომიტეტში მომუშავე ამხანაგები კომერსანტები არ არიან. მხოლოდ არ სცდება ის, ვინც არაფერს აკეთებს.

თუ კი ვინმე ასეთ შეცდომაზე მიუთითებს ეს კარგია. გასწორება შეიძლება. ზემოხსენებულ წერილში კი უბრალო გულისწყრომაა. არც ერთი ფაქტი არაა, რომ ამ კომიტეტს საქმე ცუდათ, საზარალოდ მიჰყავდეს.

ამოვწეროთ ზოგი ბრალდებები წამოყენებული ამხ. კო—კო ს მიერ:

„ხშირად ესა თუ ის აგენტი კომიტეტისა უგზო-უკვლოდ იკარგება და თან მიაქვს ათასობით ფული!.. ეს ფული აწვება კისერზე მოსამსახურეებს... კასაში დაიკარგა ათი ათასი მანეთი. ამ ფულს კომიტეტი აწერს საქონელს და ინალებს მყიდველისგან“. და თან კითხულობ: „რას უშვრება კომიტეტი ამ მონაგებ ფულსო, მოგება არც ისე პატარა იქნებაო“.

აი გაუგებრობა. თუ ხშირათ ასი ათასობით მიაქვთ, მოგება როგორღა იქნება?

ანგარიშს არ აცხადებენ, საშინელს ძვირათ ყიდიან. ბაზარში ბევრათ უფრო იაფიაო.

მე როგორც კომიტეტის ყოფილი წევრი რამდენჯერმე გადავშინჯე სხვა ამხანაგებთან ერთათ ამ კომიტეტის ანგარიში და თქვენ რომ სწერთ, ისეთი აქ ვერაფერი აღმოჩნდა.

იქნება თქვენ მიგვითითოთ მართლა რაიმე ბოროტ-მოქმედებაზე. მაშინ მადლიერი ვიქნები და ამით საქმესაც სამსახურს გაუწევთ.

ისე კი უსაბუთოთ წერა არ ვარგა.

საქმეს ავნებს.

თქვენ მოითხოვთ; ეს კომიტეტები უნდა დაიხუროსო.

ამ ჟამად ქალაქში პური ფასობს გირვანქა ხუთ მანეთამდე.

ჩვენ კომიტეტს კი აქვს წისქვილები, ფურნეები და აწვდის რკინისგზელებს ათ შაურათ ბევრათ უკეთესს პურს, ვინემ ქალაქის ფურნეებში აძლევენ. ქალაქში ხომ ხშირათ პური სრულებით არ მოიპოვება და ჩვენ კი მუდამ გვაქვს. ასე რომ, თუ მათ დღეში ხუთ გირვანქა პური უნდა იყიდოს ის 25 მანეთის მაგიერ იხდის ორ მანეთ ნახევარს.

აი ასეთი ოჯახი დღეში 22 ნახ. მანეთს იგებს ამ კომიტეტის საშუალებით, მხოლოდ პურზე...

შაქარი ღირს ბაზარში ხუთი ექვსი მანეთი. აქ კი ღირდა 50 კ. ხოლო აქ ამ ბოლო დროს გახდა მანეთი.

ფეხსაცმელი, რომელსაც ბაზარში ას მანეთათ ვერ იშოვი, აქ ღირს 50 მანეთი.

მანუფაქტურა სამჯერ უფრო იაფია, ვინემ ბაზარზე.

აგრეთვე საპონი, და სხვა.

ფქვილი არ იშოვება, მაგრამ ჩვენი კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ავადმყოფებისათვის მაინც იშოვეს და ჰყიდის ფუთს 24 მ. გირვანქას სამ აბაზათ თეთრ ფქვილს.

ალბათ, თქვენ არ იცნობთ საქმის გარემოებას და ვინმემ შეცდომაში შეგიყვანათ.

ვიმეორებ ყველა სასურსათო კომიტეტებს ნაკლი დიდი აქვს.

ამას გასწორება, გამოკეთება უნდა. კრიტიკა სამართლიანი საჭიროა.

რკინის გზის სასურსათო კომიტეტმა რკინის გზელებს დიდი სამსახური გაგვიწია. ამას გრძნობს ყველა ჩვენგანი;

თქვენ დახურვას უსურვებთ ჩვენ კომიტეტს, მე კი უსურვებ კიდევ უფრო წარმატებას. **ს. დოლიძე.**

# ს.-დემ. პარტიაში

**ლიხაური.** (გურია). 1917 წ. 14 მაისს მოწვეულ იქნა ს.-დ. რაიონული კრება, წევრთა რაოდენობის მიხედვით არჩეულ იქნა კოლექტივში 10 კაცი. 8 თვის განმავლობაში კოლექტივმა მოახდინა: 3 რაიონული, 24 კოლექტივის ჩვეულებრივი და 10 არაჩვეულებრივი კრება. 1918 წელს 11 თებერვალს მოიწვია რაიონული კრება და გაუკეთა მოხსენება კოლექტივის 8 თვის მუშაობისა. გაიხსნა კამათი კოლექტივის შრომის დაფასებაზე, რ. კონტრიძემ შემოიტანა წინადადება კოლექტივის წევრნი ვალდებულათ სთვლიან თავს იმუშაონ პარტიის კეთილდღეობისათვის და პარტიიდან რავითარ მოწონება მადლობას არ თხო[illegible] ... თუ რაიმე ნაკლს ხედავთ კოლექტივის მუშაობაში, ეს შეგვიძლიათ აღნიშნოთო. კრებამ წინადადება მიიღო და გადავ და მორიგ საკითხზე. მოხდა კოლექტივის არჩევნები, წევრთა რაოდენობის მიხედვით არჩეულ იქნა 18 კაცი. ს. ნაცხავატების ქართველ მაჰმადიანებს 12 წევრი ჰყავთ და უნდა იყოლიონ კოლექტივში ერთი წარმომადგენელი. 8 თვის განმავლობაში ე. ი. 1917 წ. 1 მაისიდან 31 დეკემბრამდე არის პარტიის შემოსავალ გასავალის შემდეგი ანგარიშები: შემოსავალი: ერთ დროული და საწევრო გადასახის 590 მ. 10 კ. გადმოგვცა ვ. კალანდარიშვილმა პ—რე გორდელაძის ხსოვნის აღსანიშნავათ 10 მ. პირველ პარტიულ ყრილობის დელეგატისთვის სესხი 108 მ. 30 კ. სესხი პარტიულ ბრაშიურების სასყიდლათ 95 მან. „ალევრიდან“ მივიღეთ დამფუძნებელი კრების ფონდი 500 მ. შემოვიდა წიგნაკების გაყიდვით 69 მ. 16 კ. წიგნაკების გაყიდვით მოსაგები 10 მ. 35 კ. მივიღე რევოლიუციამდე ძველ ამხანაგებზე დარჩენილი საწევრო 5 მ. სულ 1387 მ. 92 კ. გასავალი: დელეგატს პირველ პარტიულ ყრილობაზე 108 მ. 30 კ. მეორე ყრილობაზე 116 მ. 69 კ. კანცელიარიის ხარჯები 36 მ. 50 კ. გავასწორეთ ვალი ქ. შ. წ. კ. გ. ს. გ—ს 108 მ. 30 კ. შევიძინეთ გასასყიდათ სხვა და სხვა პარტიული წიგნაკები 95 მ. მიტინგის დროს ეტლის 8 მ. პროცენტები ც. კ—სა 80 მ. კიდო პროცენტები ც. კ—ს 215 მ. გადავეცით. დამფუძნებელი კრების ფონდი ც. კ—ს 500 მ. რაიონული კრების დროს სკოლის გამოშლა 2 მ. მივეცით ვალი წ. კ. გ. ს. გ—ს 95 მ. სულ 1364 მ. 81 კ. დარჩა კასაში 23 მ. 11 კ.

**კოლ. მდივანი გორგოშიძე.**

**ქ. სურამი.** 19 ივლისს შესდგა შეერთებული სხდომა ქალაქის საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა და პარტიული კომიტეტისა. ლტოლვილთა შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მამალაძე, რის შემდეგ წაკითხულ იქნა მთავრობის დეპეშა ლტოლვილთა გაყვანის შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა შემდეგი წინადადება: „კრებამ მოისმინა რა მთავრობის განკარგულება ლტოლვილთა შესახებ, დაადგინა: მიიღოს ზომები ლტოლვილთა თავთავიანთ ადგილებში დასაბრუნებლად. გაყვანა მათი უნდა მოხდეს შემდეგი წესით: პირველ რიგში უნდა გაიგზავნოს უფროსები, შემდეგ ობოლი ბავშვები მოზრდილი ასაკისა; ავადმყოფი ბავშვები რჩებიან, სანამ გამოკეთდებოდენ საზოგადოთ, ვადა ობოლი ბავშვების აქ დარჩენისა არ უნდა აღემატებოდეს ორ თვეს“. ამ წინადადების ცხოვრებაში გასატარებლათ არჩეულ იქნა კომისია, რომელშიაც შევიდნენ ამხ. წოწონავა, მურვანიშვილი და მეტრეველი.

აგრარული საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბალანჩივაძე. მან გააცნო კრებას ჩვენი პარტიის აზრი მიწის მფლობელობისა და სამიწათ-მოქმედო სამინისტროს შესახებ და წინადადება მისცა კრებას თავისი აზრი მიაწოდოს საოლქო კომიტეტს, რომ ამით ადგილობრივ უფრო სწორად გადაწყდეს მიწის საკითხი. კრებამ მიიღო ასეთი რეზოლიუცია: „კრებამ მოისმინა რა მოხსენება მიწათ მფლობელობის შესახებ, ანარქიისა და კონტრ-რევოლიუციის მოსასპობლად საუკეთესო საშუალებათ აღიარა მიწის მცირე ფასით გლეხებზე საკუთრებათ გადაცემა, რომ ამით მაინც ხაზინას დაუბრუნდეს ნაწილი იმ ქაღალდის ფულებისა, რომელიც დღეს სოფლათ ბლომათ არის დაგროვილი, მით უმეტეს, რომ ასეთი ზომა ჩვენს აგრარულ პროგრამას არსებითად არ სცვლის“. Calis.

# მუშათა შორის

**თფილისი. რადიო-დეპოის სადგურის მუშათა ცხოვრებიდან.** მე მინდა მკითხველებს გავაცნო აქაური ადმინისტრაციის მოქცევა მუშებისადმი. აქ 16 ივლისს შესდგა რადიო დეპოს სადგურის მუშათა საერთო კრება მუშა-მოსამსახურეების, სადაც იქნა არჩეული მუშათა კომიტეტი. მას შემდეგ, რაც კომიტეტმა დაიწყო მუშაობა, აქაური ადმინისტრაცია ვერ შერიგებია კომიტეტის მუშაობას. ამას წინათ ადმინისტრაციის მხრით ყოვლად უმიზეზოთ იქნა დათხოვნილი ერთი მოსამსახურე ქალი, სადაც მის ადგილზე იქნა მიღებული სხვა მოსამსახურე. ამის შესახებ დათხოვნილმა მოსამსახურემ განცხადება შემოიტანა კომიტეტში, რომ ის ყოვლად უმიზეზოთ იყო დათხოვნილი და თხოულობდა გასამართლებას. ამის შესახებ რადიო-დეპოს სადგურის მუშათა კომიტეტმა გამოიძია დათხოვნილ მოსამსახურეს საქმე და დაადგინა: რადგანაც ეს მოსამსახურე ყოვლად უმიზეზოთ არის დათხოვნილი, იქნას მიღებული თავის ადგილზე. გაიგო რა კომიტეტის დადგენილება რადიო-დეპოს სამმართველოს გამგემ ინჟ. ანდრონიკოვმა, მაშინვე კომიტეტის წინააღმდეგ გაილაშქრა. ინჟ. ანდრონიკოვს არ მოსწონს მუშათა კომიტეტი და უნდა, რომ კომიტეტმა არ იარსებოს და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ილაშქრებს მის წინააღმდეგ. ინჟ. ანდრონიკოვმა სთქვა: მე აქ იმ პირობით მივიღე მუშები, რომ აქ მუშათა კომიტეტი არ უნდა ყოფილიყო და თქვენ ვინ მოგცათ მუშათა კომიტეტის არჩევის ნება; აქაურ მუშათა კომიტეტს არავითარი უფლება არა აქვს მუშების დათხოვნაში და მიღებაში ჩაერიოთ. მე ვისაც მინდა, იმას დავითხოვ და ვისაც მინდა—იმას მივიღებო. ეხლა ინჟ. ანდრონიკოვი, რადგანაც ვერაფერი ვერ გახდა კომიტეტის ჩასაშლელათ, სხვა ზომებს უნდა მიმართოს. ანდრონიკოვმა სთქვა: ეხლა სამხედრო მინისტრს უნდა მივმართო, რომ დროებით რადიო-დეპოს სახელოსნო დახუროს და მერე თქვენი არც კომიტეტი იქნება და არც თქვენ იქნებით. მერე მე, ვისაც მინდა იმას მივიღებო. ასეთი ხრიკებით უნდა ანდრონიკოვს მუშათა კომიტეტის მოსპობა. რატომ უყურებს კომიტეტებს ასე ცუდი თვალით ბ-ნი ანდრონიკოვი? იმიტომ, რომ მას ალბათ არ მოსწონს დემოკრატიული სახელმწიფო. ეხლა მინდა კიდევ აღვნიშნო აქაური კანცელარიის გამგის ბ-ნი დგებუაძის ყოფა ქცევა. ეს ვაჟბატონი სულ ერთი თვე არის, რაც აქ კანცელარიის გამგეთ არის. ის ჩვენ კომიტეტს სამასხროთ იგდებს. მე მიკვირს, რამ გაათამამა ეს ვაჟბატონები, რომ კომიტეტებს ასე უდიერათ ეპყრობიან დემოკრატიულ საქართველოში? რა იქნებოდენ ესენი ძველი რეჟიმის დროს? **ი. ლანირელი.**

**ბორჯომი.** 24 ივლისს იქნა მოწვეული საზოგადო კრება ბორჯომის მამულის შუშის ქარხნის მუშებისა. კრებაზე გამოცხადდა, როგორც ქართველი მუშები, ისე რუსებიც. კრებამ ერთხმათ მოსთხოვა პასუხი ემილიან კარპენკოს, რომელმაც 22 ივლისს მიტინგზე, როცა ჩვენი საყვარელი ირ. წერეთელი შეკითხვაზე უპასუხებდა, მუშების სახელით განაცხადა რა მიზეზით არიან დათხოვნილი თანამდებობიდან შაპოშნიკოვი და ვინოგრადოვიო. მუშებს ასეთი რამ მისთვის არ დაუვალებიათ. კარპენკოს ერთხმათ ვუცხადებთ პროტესტს ასეთი გამოსვლისათვის, რადგანაც ვინოგრადოვები და შაპოშნიკოვები არასოდეს არ ყოფილან ჩვენი ინტერესების დამცველნი და მათი სამსახურიდან დათხოვნა არც ერთ ტომის მუშას არც აწუხებს.

კრების თავმჯდომარე **ალექსანდრე ჩუხრუკიძე**, მდივანი **ლ. ელიოზიშვილი.**

# პროვინცია

**ყვარელის რაიონი** (კახეთი). პირველი, რაც თქვენ ყურადღებას იქცევს აქ, ეს ადმინისტრაციის მოუწყობლობაა. თითქმის მთელი სოფლები უპატრონოთაა თუმცა ყოველგან იპოვით შეიარაღებულ პირებს, რომლებიც თავის თავს კომისრებს და მილიციონერებს უწოდებენ, მაგრამ ნამდვილათ კი, სოფლის საქმეს არაფერს აკეთებენ. მათ უფრო ქეიფი ეხერხებათ, ვიდრე საზოგადო საქმეების გაძღოლა. მათ არავინ უგონებს და არც თვითონ არავის ემორჩილებიან. თავს ჯამაგირის სიმცირით იმართლებენ, მაგრამ კომისრები მაინც იოლად მიდიან. თითქმის მთელი სოფლები შეიარაღებულია. წარა-მარა თოფებს ისვრიან და აუარებელ პატრონებსა ხარჯავენ. მაგრამ საჭიროების დროს, ორ კაცს ვერ გამოიყვან. ძველ ხალხს უკვირს, ეს რა დრო დადგაო.

გლეხი ისევ ძველებურათ, მამაპაპურათ აშუშავებს თავის ვენახებს და ყანებს. აქ იშვიათად თუ შეხვდები გაუმჯობესებელ სამუშათ იარაღს. გზები აქეთ ყოვლად უვარგისია. ყოველ დღე სოფლელი დადის, ურემი დააქვს და იმდენი ვერ მოუხერხებია, რომ გზა გაიკეთოს. გზებზე წყალი დის და ხევს მოგაგონებს. ეზო, კარი და მოსახლეობა უხეირო და უსუფთაობა. ნეხვისა და ყველაფერ უსუფთაობას აქაური გლეხი ცხვირწინ იყრის ეზოში ან გზაზე. ამის გამო კახეთის სოფლები მეტის-მეტად ბინძურია, რაც დიდად ხელს უწყობს სხვადასხვა ავადმყოფობის გავრცელებას. საექიმო დახმარება კი აქეთ უცხო ხილია. მთელი ალაზნის გაღმა მხარე უექიმოდ არის და ერთი სამკურნალო არ მოიპოვება.

ცუდ მდომარეობაში არიან აგრეთვე კოოპერატივები და საკრედიტო დაწესებულებები. თუმცა ფულები ბევრი აქვთ მაგრამ საქმეს ცოტას აკეთებენ. მართალია, საქონლის შოვნა არის, მაგრამ სოფლის ნაწარმოების შესყიდვა და მათი ქალაქებისთვის მიწოდება შეიძლებოდა, რითაც დიდს სამსახურს გაუწევდენ როგორც ქალაქს, აგრეთვე სოფლებსაც. კოოპერატივებმა უნდა იკისრონ შუამავლობა სოფელსა და ქალაქებ შორის. მხოლოდ ამით შეიძლება აილაგმონ სხვადასხვა ჯურის სპეკულიანტები.

ცუდ მდგომარეობაშია აგრეთვე ტყე. წინათ ცოტად თუ ბევრად პატრონი ჰყავდა, ეხლა ღვთის ანაბრად არის და თუ მალე ყურადღება არავინ მიაქცია, მთლად გაოხრდება. ყველა ზემოხსენებულ უბედურების თავი და თავი მიზეზია ჩვენი ხალხის სიბნელე, გაუნათლებლობა, შეუგნებლობა. კახეთში სწავლა-განათლების საქმე ძალიან ცუდად არის დაყენებული. სკოლები ძალიან ცოტაა. ზოგ რაიონებს დაივლი და ერთს მასწავლებელს ვერ იპოვი. მასწავლებლად უმთავრესად ქალებია. მასწავლებელი სოფელში საჭიროა არა მარტო სკოლაში, არამედ სკოლის გარედაც—იქ უფრო მეტი საქმე აქვს მას. მასწავლებელმა სკოლის გარედ სკოლას ნიადაგი უნდა მოუმზადოს. ამას კი ვაჟი მასწავლებელი უკეთ აასრულებს, ვინემ ქალი. ამით მე მინდა, მხოლოდ აღვნიშნო, რომ დღევანდელ ჩვენს პირობებში ვაჟი მასწავლებელი სოფლად აუცილებელ საჭიროებას შეადგენ, რასაკვირველია, თუ ის იდეური მასწავლებელია. მასწავლებელი სოფელში ერთად ერთი იდეური და კულტურული მუშაკია და მას შეუძლია სკოლის გარშემო შემოიკრიბოს სოფლის კულტურული ძალები.

ყველა ზემოხსენებულ ნაკლთა თავიდან ასაცილებლად და სოფლის კულტურულ ნიადაგზე დასაყენებლად აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენმა რესპუბლიკის მთავრობამ დაუყოვნებლივ მიაქციოს ყურადღება სოფლებს და მიიღოს შემდეგი ზომები: 1) დაინიშნოს სოფლად სპეციალური ინსტრუქტორები სწავლა-განათლებისა, რომელსაც დაევალოს სოფლებში აგიტაცია-პროპაგანდა და სკოლისა და სკოლის გარეშე სწავლის მოწყობა; 2) სამკურნალოების გახსნა და საჭირო ექიმების მოწვევა სოფლებისათვის; 3) ყველა რაიონებში აგრონომ-ინსტრუქტორების დანიშვნა და 4) საჩქაროდ მოწყობა სოფლის მტკიცე ადმინისტრაციისა და სასამართლოსი.

ძველი მთავრობა თუ ამას არ აქცევდა ყურადღებას, ჩვენი მთავრობა ვალდებულია და იმედიცაა აქეთკენ მიაქცევს უმთავრეს ყურადღებას, იხსნის სოფელს სიბნელისაგან და დააყენებს მას განახლების გზაზე. **ვ. ხ—შვილი**

**სოფ. უშაფათი** (სამეგრელო). ამ სოფელში დიდი ხანია არსებობს სამეურნეო ამხანაგობა და წვრილი კრედიტის ბანკი. თავიდან ამ დაწესებულებებს მოექცნენ ისეთი ელემენტები, რომელთაგან ხალხი მოელოდა ხსენებულ დაწესებულებების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას. მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამართლდა ხალხის იმედები. მღვდელმა და მასწავლებელმა ერთმანეთში უთანხმოება ჩამოაგდეს და საქმეს წარმატება ვერ მისცეს. ზოგი გამგეობის წევრიც ვერ იქცეოდა კარგად. მაგრამ დაბრუნდნენ თუ არა აქაური შვილები—მცოდნე და ხალხის გულშემატკივარნი, რომლებიც სხვადასხვა ქალაქებში იყვენ ზოგი სასწავლებლად, ზოგი გადასახლებულნი, მიჰყვეს ხელი სოფლის აღმშენებლობას. მათი ინიციატორობით აქ დაარსდა აგრეთვე კოოპერატივი „სიმაგრე“, ბიბლიოთეკა-სამკითხველო ი. გ. წერეთლის სახელობაზე. აგრეთვე დაარსეს ფოცხო-უშაფათის ს.-დ. ორგანიზაცია, რომელიც ეხლა გაფართოვდა და გადაკეთდა რაიონული ორგანიზაციათ ს.-დ. მუშათა პარტიისა. ხსენებულ კოოპერატივმა დღიდან მისი დაარსებისა კარგათ წაიყვანა საქმე.

აქ არსებობს აგრეთვე ერთ-კლასიანი სკოლა, რომელიც ვერ უწევს სოფელს სათანადო სამსახურს. მეცადინეობა ნორმალურ კალაპოტში არ არის. აქაური ბავშვები ღვთის ანაბარად არიან მიტოვებულნი. აგერ მოახლოვებულია სამოსწავლო წელი და საჭიროა გამოგზავნილ იქნას დაუყონებლივ მასწავლებელი. **კ. მინაშვილი.**

**ხიდისთავი** (გურია). ამ დღეებში კომისიის საშუალებით სოფელ მეწიეთმა აღმოაჩინა ქურდები. სოფლის კრებამ თვითგასამართლება უარჰყო და იგინი გადასცა ადგილობრივ მთავრობას. მან კი შესაფერი აქტით ორივე გაუგზავნა ჩოხატაურის რაიონის კომისარს. მაგრამ იქიდან გაიქცა ერთი. მეორე კი თავდებით იქნა გაშვებული. 28 ივნისს ხიდისთავის კომისარმა მიიღო ჩოხატაურის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტისაგან მოწერილობა, რომ გაეხსნათ წისქვილის სათავენი, რაც მისჯილი ჰქონია ერკეთის საზოგადოებისათვის, რომ თევზი არ დაკავებულიყო. 30-ს კომისარის განკარგულებით სათავენი იქნა გახსნილი, სადაც დაესწრო თვით იმ სოფლის დაინტერესებული პირი, რომელიც კმაყოფილი დარჩა. 1 ივლისს კი ჩამოვიდა ს. ხევიდან შეიარაღებული ბრბო მიუხედავათ იმისა, რომ სათავენი გახსნილი ნახეს და მოლაპარაკების გამართვა შეიძლებოდა, მათ ეს არ ისურვეს, შეჰკრეს გზა, თვით კომისარი იმ დროს არ იმყოფებოდა, შემთხვევით გაეგო მის თანაშემწეს, მარა არავითარმა ზომამ არ გასჭრა და ბრბომ ჩაიდინა ის, რაც მათ სურდათ. საჭიროა აილაგმოს ასეთი საქციელი ვისგანაც ჯერ არს. **მუსტაფე.**

**სოფ. ძეგვი** (ქართლი). აქ გლეხობა ძალიან შეუძლებელია. სრულიად არ მოიპოება ინტელიგენტური ძალები. არ მოდის არც ერთი გაზეთი და ამის გამო ყოველნაირ ჭორებს და პროვოკაციას დიდი გასავალი აქვს. რევოლიუციის მტრებისათვის ასეთი ადგილი ნაყოფიერ მხარეს წარმოადგენს ბნელი მოღვაწეობისთვის.

ამ სოფელში გახშირებულია ლოთობა, რაც ხშირათ იწვევს ხალხში ჩხუბს და აყალ მაყალს. საჭიროა ადგილობრივ ადმინისტრაციამ მიაქციოს ყურადღება ამ საზოგადოებას და ჩამორჩენილი ხალხი სწორ გზაზე დააყენოს.

მოსავალი ძალიან კარგი არის, გლეხობას იმედი აქვს, რომ სამყოფი მოუვათ. საჭიროა მთავრობის სიმკაცრე, რომ დამყარდეს წესი და სიმართლე. **ელიზბარ თარგამაძე.**

# ცნობები

პორუჩიკი იასე იოსეფის ძე ქლენტი მსახურობდა რუმინიის ფრონტზე 1917 წელს. 169 ტინგინსკი პოლკში, ათი თვე არის რაც მის შესახებ არავითარი ცნობები არ მოსულია მის დედმას. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ, გვაცნობოთ, შემდეგი მისამართით: სადგ. სუფსა პოდპორუჩიკ შალვა კოსტას ძე ქლენტს.

ოზურგეთის მაზრის, ერკეთის საზოგადოების მცხოვრები სიმონ ეგნატეს ძე ჯინჭარაძე (ყოფილი სემინარიელი) მსახურებდა ქ. ბათუმში, მე-7-დე მიხაილოვის მეციხოვნე არტილერიაში. ბათომის დაცემის შემდეგ მისმა მშობლებმა არაფერი ვიცით. თუ რამე იცით ვინმემ მის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ქ. ტფილისი, სუჯინის ქ. № 13. გიორგი ჯინჭარაძეს.


თფილისის მფრინავი რაზმი სთხოვს ამხ. **ჩხიკვაძეს** შემოიაროს რაც შეიძლება დაჩქარებით ზემოხსენებული რაზმის სადგომში მასზე დარჩენილ ანგარიშების გასასწორებლად მფრინავი რაზ. მონდობ. (1—1) ვ. ციუმა.

მე, კონსტანტინე ზაქარიას ძე ხანაძე, ქუთაისის მატარებელში [illegible] **დავკარგე** პასპორტი № 331 დიდი ჯიხაიშის [illegible] მისარ[illegible] 1917 წ. [illegible] აგვისტოს და სხვადასხვა საბუთები, რასაც დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ვთვლი გაუქმებულად.
კონსტანტინე ზაქარიას ძე ხანაძე. (1—1)

რკინის გზის მატარებელში სად. სამტრედიაში 8 ივლისს პასპორტი **დავკარგე** ბასილეთის (ოზურგეთის მაზრა) სამმართველოს მიერ გამოცემული 1 ივლისს ამა მდგომარე წლისა ერთის წლის ვადით იოსებ პლატონის ძე მიქელაძის სახელზე. მპოვნელს ვსთხოვ დააბრუნოს პასპორტი, წინააღმდეგ შემთხვევაში პასპორტს ძალა ეკარგვის. (1—1)

**კერძო მიხეილის სამკურნალო**
მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167.

**ექიმი ი. გ. კონიევი.**
იღებს შინაგან სნეულებით ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდის უბნის ქ. № 3. (24—5)

**მდ. ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დაზგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქ. სახლი № 82. ტელ. № 9—26.

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

**ექიმი ბ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 6—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: ღუდი მთავრის ქ. № 57; აფთიაქ ცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № [illegible].

**სადგური სუმბათოვო**
სუმბათოვოს სადგურის მახლობლათ (3 ვერსი გზატკეცილით) არსებობს
**სამკურნალო აბანო**
არჩენს ყოველგვარ ქარებს, სხეულის სიმსივნეს, მუწუკებს და ძვალთა ტეხას. წყალი ცივიცა და ცხელიც არის. აბანოსთან არის **ნომრები** დასადგომათ. მიმოსვლა შეიძლება ურმით. აბანოს გამგე **მიხეილ ბარბაქაძე.**

**განცხადება**
**გზათა სამინისტროს**
გადასწყვიტა მოაწყოს ავტომობილებით მიმოსვლა მგზავრების, ბარგის, ფოსტის და სხ. გადასაზიდათ შემდეგ მიმართულებით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე: 1) თფილისი—ყაზბეგი, 2) თფილისი—ბელი-კლიუჩი, 3) თფილისი—კოჯორი—მანგლისი, 4) სიღნაღი—წნორის-წყალი—ლაგოდეხი, 5) თელავი—თიანეთი, 6) გორი—ცხინვალი, 7) გორი—მეჯვრის-ხევი, 8) ვაზიანი—გომბორი, 9) თფილისი—ვარანცოვკა, 10) ბორჯომი—აწყური, 11) ქუთაისი—ხონი—სამტრედია, 12) ქუთაისი—ბაღდადი—აბასთუმანი, 13) ქუთაისი—ონი, 14) სენაკი—ზუგდიდი—სოხუმი, 15) სოხუმი—გაგრა, 16) ფოთი—სუფსა, 17) ნატანები—ოზურგეთი—ჩოხატაური—საჯევახო, 18) აბაშა—ბანძა—ნაოლალევი და 19) იანეთი—დიდი-ჯიხაიში.

ამ მიზნისათვის გზათა სამინისტროს საავტომობილო განყოფილება მოუწოდებს მსურველებს კონცესიის აღალებათ შემოიტანონ განცხადება. აღნიშნულ გზებზე კონტრ-აგენტებს ექნებათ ავტომობილების მიმოსვლის მონოპოლიის უფლება. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება გზათა სამინისტროს საავტომობილო განყოფილებაში, პეტრე დიდის ქუჩა № 8. დეპეშით ან ფოსტით ცნობების მიწოდება არ შეიძლება.

უკანასკნელი ვადა განცხადებისა დანიშნულია 10 აგვისტოს, შუადღის საათი. შემდეგ შემოსული განცხადებები როგორი საშუალებითაც არ უნდა იქნეს ესენი, ფოსტით თუ დეპეშით, ან როგორის შინაარსის და წინადადებით—მხედველობაში მიღებული არ იქნება. (3—2)

**ნაცარწმულიან-ნახშირმჟავიანი წყალი**
1907 წლის გამოფენაზე დაჯილდოვებულია **ბორჯომი** უმაღლესი ჯილდო (Grand prix)
უკანასკნელმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ბორჯომის წყალში არის მუდმივი ემანაცია, რაც ამტკიცებს მასში რადიის მარილის ნიშნების არსებობას.
**ბორჯომის წყალს** ექიმები ურჩევენ: 1) სასუნთქავ ორგანოების ქრონიკულ ანთების დროს, 2) კუჭისა და ნაწლევების ქრონიკულ ანთების დროს, 3) ჭინჭნაღველისა და შარდის მილის ავათმყოფობის დროს, ქრონიკულ რევმატიზმისა და სხვ., 4) საჭმლის მონელების მოშლის ყველა შემთხვევებში (ნიკრისის ქარი, სიმსუქნის და შაქრის ავათმყოფობა და სხვ.).
**ბორჯომის წყალი** განირჩევა თავის უმჯობესობით სხვა ნაცარწმულიან წყლებისაგან მით, რომ ის შეიცავს იოდს და ბრომის მარილს.
**ბორჯომის წყალი** დიდათ მარგებელია, როგორც კარგი გიგიენური სასმელი სადილობის დროს.
მთავარი საწყობი ბორჯომში. წარმომადგენლები: თფილისში, ელისაბედის ქუჩა, № 174, დოლიძე, ყვირილაში ძმები ნიურაძე და ა. გ. ჯალაღანია. (7—2)


სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.